პროლეტარელნო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

კვირა, 6 თებერვალი, 1949 წ. № 27 (8330). ფასი 20 კაპ.

დღეს ჩვენს რესპუბლიკაში სახალხო სასამართლოების არჩევნებია. საქართველოს მშრომელებო! ერთსულოვნად მივცეთ ხმა სახალხო სასამართლოებში დასახელებულ კანდიდატებს—ჩვენი სამშობლოს ერთგულ შვილებს! ამით ჩვენ ხმას მივცემთ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას. ყველანი არჩევნებზე!

ყველანი არჩევნებზე!

დღეს საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნებია. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ერთსულოვანი დარაზმულობით მიდიან საარჩევნო უთვებთან, რათა შეასრულონ თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობა, ხმა მისცენ კომუნისტებისა და უპარტიორების ურღვევი სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

ისევე, როგორც მშრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნების დღეებში, ახლაც ჩვენი ხალხის სიყვარულისა და მისალმების პირველი სიტყვები მიმართულია საყვარელი ბელადის დიდი სტალინისადმი, რომლის სახელთანაც უშუალოდ არის დაკავშირებული საბჭოთა ხალხის ბედნიერი ცხოვრება და ბრწყინვალე მომავალი.

არჩევნებისათვის მზადება ჩვენს რესპუბლიკაში მშრომელთა დიდი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში მიმდინარეობდა. ეს აქტივობა უფრო მეტად გაძლიერდა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობისათვის მზადების დღეებში. რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა კოლექტივები და კოლმეურნეობები აღებულ ვალდებულებათა ბრწყინვალედ განაღდებით შეხვდნენ ყრილობის გახსნის დღეს. საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობამ დიად სამუშაოთა პროგრამა დაასახა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის. სახალხო სასამართლოების არჩევნების წინა დღეებში გაჩაღდა მძლავრი შემოქმედებითი შრომა ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

ჩვენი სამშობლოს მშრომელები ამაყობენ საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილებით, რის მეობებითაც თვითონ ხალხი არის სახელმწიფოს, თავისი ცხოვრებისა და თავისი ბედის ბატონ-პატრონი.

„ამჯერადაც მშრომელებო! — წერდა ლენინი დიდი ოქტომბრის გამარჯვების ათი დღის შემდეგ. — გახსოვდეთ, რომ ახლა თქვენ თვითონ მართავთ სახელმწიფოს. თქვენ არავინ არ დაგეხმარებათ, თუ თვითონვე არ გაერთიანდებით და საკუთარ ხელში არ აიღებთ სახელმწიფოს მთელ საქმეებს".

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ განთავისუფლებულმა ხალხმა თავის ხელში აიღო სახელმწიფოს საქმეები და ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით შეუდგა ახალი, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას. მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს შექმნის პირველსავე დღეებში საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო დეკრეტი ძველი სასამართლო წყობილების გაუქმებისა და ახალი, საბჭოთა სახალხო სასამართლოების შექმნის შესახებ.

საბჭოთა სასახლო სასამართლომ თავისი განვითარებისა და სრულყოფის დიდი გზა განვლო. იგი მუდამ იდგა და დგას სოციალისტური სახელმწიფოს, მშრომელი მასების ინტერესების დაცვის სადარაჯოზე. ჩვენი სახალხო სასამართლო მოქალაქეებს ზრდიდა და ზრდის საბჭოთა კანონების განუხრელად შესრულების, შრომის დისციპლინის დაცვის, საზოგადოებრივი მოვალეობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებისა და სოციალისტური თანაცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

საბჭოთა სახალხო სასამართლოს როლი დიდია. როგორც ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი ამბობს, „სასამართლოს... დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა კულტურულობისათვის ბრძოლის საქმეში. სასამართლოს კარგი ორგანოებია და მისი მაღალი ავტორიტეტი... მნიშვნელოვნად განამტკიცებს ახალ კულტურას და ახალ ყოფას, მნიშვნელოვნად განამტკიცებს სოციალისტურ წყობილებას".

ჩვენი ქვეყნის მართლმსაჯულების ორგანოები და მათი მუშაკები, კერძოდ სახალხო მოსამართლეები და სახალხო მსაჯულნი, მაღალი პატრიოტული შეგნებით განახორციელებენ საბჭოთა კანონებს, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მითითებებს, რომლებიც მიმართულია ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და კომუნიზმის მშენებელ ადამიანთა ინტერესების დაცვისაკენ.

სახალხო სასამართლო ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო აპარატის მნიშვნელოვანი რგოლია. ახლა, როდესაც ქართველმა ხალხმა გაიარა ბრძოლა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებათვის, ჩვენი სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის, სახალხო სასამართლოს ამოცანებიც უეჭველად იზრდება. სახალხო სასამართლო მოწოდებულია, უწინარეს ყოვლისა, დაიცვას და განამტკიცოს სოციალისტური საკუთრება — ჩვენი სახელმწიფო წყობილების საფუძველი, ურყევად განახორციელოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულება „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ". ამ საქმეში სახალხო სასამართლოები განურჩევლად უნდა ხელმძღვანელობდნენ ამხანაგ სტალინის მითითებით იმის შესახებ, რომ „...ქურდი, რომელიც იპარავს სახალხო დოვლათს და ძირს უთხრის სახალხო მეურნეობის ინტერესებს, იგივე ჯაშუში და გამცემია, თუ უარესი არა".

საბჭოთა ადამიანები თავიანთი სახალხო სასამართლოებისაგან მოითხოვენ გაძლიერონ ბრძოლა თანამდებობრივი დანაშაულობის, მექრთამეობის, ვაჭრობაში ყოველგვარი ბოროტმოქმედებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ. ამასთან სახალხო სასამართლოები მოვალენი არიან ურყევად დაიცვან საბჭოთა ქვეყნის მოქალაქეთა პოლიტიკური, შრომითი, საბინაო, ქონებრივი და სხვა პირადი უფლებები, რაც მათთვის გარანტირებულია სტალინური კონსტიტუციით.

სახალხო სასამართლოები წინასაარჩევნო კრებებზე სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების კანდიდატების შრომითსა და საწარმოო სანქიანობას. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კრებების მიერ სახალხო სასამართლოების შემადგენლობაში წამოყენებულ იქნენ და რეგისტრირებული არიან მოწინავე ადამიანები. სახალხო მსაჯულებად დასახელებული 1.105 კანდიდატიდან 387 ქალია, 475 უპარტიო, 840-ზე მეტი ორდენოსანი და მედალოსანი. განათლების მიხედვით 232 კაცს აქვს უმაღლესი განათლება, 400-ზე მეტს — დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება.

ადგილობრივ მშრომელებმა სახალხო მოსამართლის კანდიდატებად დასახელეს მრავალი წლის განმავლობაში კეთილსინდისიერად მომუშავე ადამიანები, მათ შორის მარიამ კურსუა, ნიკო შარაბიძე, იოსებ ბუტუა და სხვ. სახალხო მსაჯულების კანდიდატთა შორის არიან სოციალისტური შრომის გმირები, კომპოზიტორ ერასტი ყანდა და ქუჩანაშვილის მწერალი მიხეილ ალიბეგოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ალექსი აბაკი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. ფიტნიკოვი, ინჟინერ-გეოლოგი თ. კენია, ექიმი ლ. ლაბახუა, ინჟინრები ა. ჭირაქაძე, ნ. რუხაძე და სხვ.

ამომრჩეველთა შორის სტალინური კონსტიტუციის, საარჩევნო დებულების, წამოყენებული კანდიდატების შრომითი საქმიანობის პოპულარიზაციას ეწეოდა 6.410 აგიტატორი.

ორგანიზებულად ჩატარდა კანდიდატების შეხვედრები ამომრჩევლებთან. არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით საავტომობილო-პროპაგანდისტული ბრიგადა განსაკუთრებით ჩარგად იყო დაყენებული ქალაქ სოხუმსა და გალის რაიონში. არჩევნების მზადებასთან დაკავშირებით გაძლიერდა საბჭოთა კანონების პროპაგანდა მოსახლეობაში.

პარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტების ლექტორების საშუალებით წაკითხულ იქნა 600-ზე მეტი ლექცია და მოხსენება.

მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა სასამართლო ორგანოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. მთელმა რიგმა სახალხო სასამართლოებმა გაიუმჯობესეს მუშაობა. მაგალითად, ქ. სოხუმის პირველი და მესამე უბნების, გალის მეორე უბნისა და ტყვარჩელის სახალხო სასამართლოები ახლა უკეთესად მუშაობენ.

დიდი მუშაობა ჩატარდა სახალხო სასამართლოების შენობათა რემონტის მხრივაც. ამ მიმართულებით სახალხო სასამართლოებს ქმედითი დახმარება გაუწიეს ტყვარჩელის, გულრიფშის, ოჩამჩირის რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა.

საარჩევნო პუნქტები სათანადოდ არის გაფორმებული. დადგმულია ტელეფოხები და რადიოფიცირებულია თითქმის ყველა საარჩევნო პუნქტი. არჩევნებამდე ხუთი დღით ადრე შემოწმდა და დაზუსტებულ იქნა ამომრჩეველთა სიები. არჩევნების დღისათვის ყველგან გამოყოფილია საკრო ტრანსპორტი. შორეულ მთიან სოფლებთან, სადაც ზამთრის პირობების გამო შეფერხებულია მიმოსვლა, დამყარებულია რადიოკავშირი.

აფხაზეთის მშრომელები, რომელთაც არაერთხელ დაუმტკიცებიათ თავიანთი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა და ერთგულება ბოლშევიკური პარტიის, ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი, ახლაც დარაზმულად მივლენ საარჩევნო უთებთან და ერთსულოვნად მისცემენ ხმას საბჭოთა მართლმსაჯულების ორგანოებში დასახელებულ კანდიდატებს — სოციალისტური სამშობლოს ერთგულ შვილებს.

ხმას ვაძლევთ კომუნისტებისა და უპარტიორების სტალინური ბლოკის კანდიდატებს

მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ნიშნით

(საუბარი საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივან ამხ. შ. გეთიასთან)

აფხაზეთში დიდი პოლიტიკური აღმავლობით მიმდინარეობდა სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის მზადება. უყვლა 15 საარჩევნო ოლქი და 269 საარჩევნო პუნქტი ორგანიზაციულ-ტექნიკური მხრივ მზად არის არჩევნებისათვის.

ამ-მხრივ ვკრაგად იცნობენ სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატების შრომითსა და საწარმოო სანქიანობას. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კრებების მიერ სახალხო სასამართლოების შემადგენლობაში წამოყენებულ იქნენ და რეგისტრირებული არიან მოწინავე ადამიანები. სახალხო მსაჯულებად დასახელებული 1.105 კანდიდატიდან 387 ქალია, 475 უპარტიო, 840-ზე მეტი ორდენოსანი და მედალოსანი. განათლების მიხედვით 232 კაცს აქვს უმაღლესი განათლება, 400-ზე მეტს — დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება.

აფხაზეთის მშრომელებმა სახალხო მოსამართლის კანდიდატებად დასახელეს მრავალი წლის განმავლობაში კეთილსინდისიერად მომუშავე ადამიანები, მათ შორის მარიამ კურსუა, ნიკო შარაბიძე, იოსებ ბუტუა და სხვ. სახალხო მსაჯულების კანდიდატთა შორის არიან სოციალისტური შრომის გმირები, კომპოზიტორ ერასტი ყანდა და ქუჩანაშვილის მწერალი მიხეილ ალიბეგოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ალექსი აბაკი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. ფიტნიკოვი, ინჟინერ-გეოლოგი თ. კენია, ექიმი ლ. ლაბახუა, ინჟინრები ა. ჭირაქაძე, ნ. რუხაძე და სხვ.

ამომრჩეველთა შორის სტალინური კონსტიტუციის, საარჩევნო დებულების, წამოყენებული კანდიდატების შრომითი საქმიანობის პოპულარიზაციას ეწეოდა 6.410 აგიტატორი.

ორგანიზებულად ჩატარდა კანდიდატების შეხვედრები ამომრჩევლებთან. არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით საავტომობილო-პროპაგანდისტული ბრიგადა განსაკუთრებით ჩარგად იყო დაყენებული ქალაქ სოხუმსა და გალის რაიონში. არჩევნების მზადებასთან დაკავშირებით გაძლიერდა საბჭოთა კანონების პროპაგანდა მოსახლეობაში.

პარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტების ლექტორების საშუალებით წაკითხულ იქნა 600-ზე მეტი ლექცია და მოხსენება.

მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა სასამართლო ორგანოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. მთელმა რიგმა სახალხო სასამართლოებმა გაიუმჯობესეს მუშაობა. მაგალითად, ქ. სოხუმის პირველი და მესამე უბნების, გალის მეორე უბნისა და ტყვარჩელის სახალხო სასამართლოები ახლა უკეთესად მუშაობენ.

დიდი მუშაობა ჩატარდა სახალხო სასამართლოების შენობათა რემონტის მხრივაც. ამ მიმართულებით სახალხო სასამართლოებს ქმედითი დახმარება გაუწიეს ტყვარჩელის, გულრიფშის, ოჩამჩირის რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა.

საარჩევნო პუნქტები სათანადოდ არის გაფორმებული. დადგმულია ტელეფოხები და რადიოფიცირებულია თითქმის ყველა საარჩევნო პუნქტი. არჩევნებამდე ხუთი დღით ადრე შემოწმდა და დაზუსტებულ იქნა ამომრჩეველთა სიები. არჩევნების დღისათვის ყველგან გამოყოფილია საკრო ტრანსპორტი. შორეულ მთიან სოფლებთან, სადაც ზამთრის პირობების გამო შეფერხებულია მიმოსვლა, დამყარებულია რადიოკავშირი.

აფხაზეთის მშრომელები, რომელთაც არაერთხელ დაუმტკიცებიათ თავიანთი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა და ერთგულება ბოლშევიკური პარტიის, ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი, ახლაც დარაზმულად მივლენ საარჩევნო უთებთან და ერთსულოვნად მისცემენ ხმას საბჭოთა მართლმსაჯულების ორგანოებში დასახელებულ კანდიდატებს — სოციალისტური სამშობლოს ერთგულ შვილებს.

აპირველი კვარცხლის დავალება 24 თებერვლისათვის შესრულებულია

ქუთაისის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელი ქარხნის ახალგაზრდობამ საკავშირო ალკ XI ყრილობის აღსანიშნავად ვალდებულება აიღო 24 თებერვლისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვას 12 უნივერსალური ტიპის სახარატო დაზგა — „დიპ-300". ქუთაისელი ახალგაზრდები სასახელოდ ასრულებენ ამ ვალდებულებას. მათ 3 თებერვლისათვის უკვე გამოუშვეს 10 დაზგა, ამასთან დაზოგეს 17 ტონა შავი ლითონი და 45.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია.

კომკავშირელი ახალგაზრდობა იარაღ-მანქანების მთელ-პატრონობის საქმეში მაგალითს მაჩვენებელია. იარაღ-მანქანების ექსპლოატაციის ვადის გადიდებით მათ ქარხანას დაუზოგეს 43.000 მანეთი.

ტექნიკურ წრეებში 85 ახალგაზრდა იმაღლებს საწარმოო კვალიფიკაციას. კომკავშირელები ბ. ჩიტაშვილი, ი. დობრინოვი, მ. ფროლოვა, გ. ბესპალოვი და სხვები მესამიდან მეოთხე თანრიგის მუშები გახდნენ. ისინი ყოველდღიურ დავალებას 150-250 პროცენტით ასრულებენ.

ქარხნის 21 მოწინავე ახალგაზრდამ უკვე შეასრულა ხუთწლიანი გეგმა. ქარხანაში ბევრია ახალგაზრდა, რომელმაც 7, 8, 9 წლისა და მეტის საწარმოო დავალება გაანაღდა. მეხუთე საამქროში მომუშავე კომკავშირელმა გრ. ზარქუამ 9 წლისა და 10 თვის გეგმა შეასრულა, ხარატმა ვ. კრუგლიაკოვმა—9 წლისა და 2 თვისა, ზეინკალმა კ. ბედოშვილმა—7 წლისა და 3 თვისა, მ. აბრამოვმა—7 წლისა და 10 თვისა, ა. ერმაკოვმა—8 წლისა და 8 თვისა. ესენი და სხვა მრავალი მოწინავე კომკავშირელი და კომკავშირგარეშე ახალგაზრდა პირობას იძლევიან ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულონ მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დავალება.

ავჭომელიმონჯეთა შრომითი საქმეები

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მთავარ მექანიკურ განყოფილებაში მუშაობს ელექტროზეინკალთა ახალგაზრდული ბრიგადა, რომელიც საკავშირო ალკ XI ყრილობის სახელს ატარებს. ბრიგადას ხელმძღვანელობს ახალგაზრდა ელექტრომონტიორი ა. ილიჩოვი.

ბრიგადამ იკისრა მიმდინარე წლის I კვარტალის საწარმოო დავალება ყრილობის გახსნის დღისათვის — 25 თებერვლისათვის გაანაღდოს. ამ ბრიგადამ გასული წლის მეოთხე კვარტალის გეგმა 447 პროცენტით შეასრულა.

ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლაში ჩაბმულია ამ ქარხნის 16 ახალგაზრდული ბრიგადა. მათ შორის მოწინავეა ავჭყობი საამქროს ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც გ. პაჭუაშვილი ხელმძღვანელობს. ელექტროტექნიკური საამქროდან ყველას გაუსწორ ელექტროზეინკალთა ბრიგადამ, რომელსაც კომკავშირელი ა. ბერიშვილი მეთაურობს.

საიაღლო საამქროს ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი ო. ჯანჯალაშვილი საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობასთან დაკავშირებით სტახანოვურ ვახშზე იდგა და ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებდა. 28 იანვარს მან სარეკორდო მაჩვენებელს მიაღწია — დღიური დავალება 715 პროცენტით გაანაღდა. მექანიკური საამქროს მჩარხავება, კომკავშირელმა გ. ხმელაძემ იახვის გეგმა 425 პროცენტით შეასრულა, ამავე საამქროს ხარატმა ნ. კოვალმა კი—330 პროცენტით.

ქარხნის 38 ახალგაზრდამ უკვე გაანაღდა ხუთწლიანი გეგმა. ამათგან 30 კომკავშირელია.

ქარხნის ახალგაზრდობა ემზადება იმისათვის, რომ საკავშირო ალკ XI ყრილობას მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდეს. მათ დღისათვის ვალდებულებით გათვალისწინებული 10 ავტომანქანის ნაცვლად 13 ავტომანქანა გამოუშვეს, დაზოგეს 9 ტონა შავი ლითონი, 78 ახალგაზრდამ ამაღლა საწარმოო კვალიფიკაცია.

ახალგაზრდობა ამჟამად წარმატებით იბრძვის მომდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმის ვადამდე შესასრულებლად.

თვითმფრინავები მოსავლის დასაცავად

4 თებერვალს სსრ კავშირის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარ სამართველოში დამთავრდა სრულიად საკავშირო თათბირი სოფლის მეურნეობაში ავიაციის გამოყენების საკითხებზე.

1948 წელს სასოფლო-სამეურნეო ავიაციამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა მოსავლის დაცვის საქმეში. დიდი მუშაობა ჩატარდა შაქრის ჭარხლის მავნებლებთან საბრძოლველად უკრაინაში, მოლდავეთში და ყუბანის ოლქში. მხოლოდ უკრაინაში სასოფლო-სამეურნეო ავიაციის მფრინავებმა მომსახურება გაუწიეს 3.183 კოლმეურნეობას და მთლიანად დაიცვეს მათი ჭარხლის პლანტაციები. მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა ხილის ბაღების, ვენახების, მარცვლეული და საკვები კულტურების მავნებლებთან საბრძოლველად.

გასულ წელს ფართო საწარმოო მასშტაბით პირველად მოეწყო თვითმფრინავების დახმარებით სამშობლოს მთელ პერეულის დამატებითი კვება მინერალური სასუქებით. ამ მეთოდმა სრული გამართლება ჰპოვა. იმ ფართობებზე, რომლებიც თვითმფრინავების დახმარებით იყო დამუშავებული, მიღებულ იქნა მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალი: თვითეული ჰექტარზე 3-4 ცენტნერით მეტი, ვიდრე ხელით ჩატარებული ჩვეულებრივი დამატებითი კვებისას.

მომდინარე წელს სასოფლო-სამეურნეო ავიაციის თვითმფრინავების პარკი მნიშვნელოვნად შეიცვსო. ეს შესაძლებლობას მოგვცემს დიდი წარმატებით გავაჩაღოთ ბრძოლა სოფლის მეურნეობის მავნებლებთან და ავიაციის დახმარებით დამატებითი კვებით უზრუნველვყოთ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდება მნიშვნელოვან ფართობებზე. ავიაციის დახმარებით საშემოდგომო ნათესების დამატებითი კვების სამუშაოთა მოცულობა შარშანდელთან შედარებით ოთხჯერ დიდდება. (საკდესი).

ღენინგრადის გაზიფიკაცია

ლენინგრადი. (საკდესი). მთავრობის კომისიამ დაამთავრა კოხტლა-იარვე-ლენინგრადის მაგისტრალური გაზსადენის მოება. ლენინგრადელთა ბინებში შევიდა ესტონეთის სს რესპუბლიკაში აგებული გაზფიქალის ქარხანაში გამომუშავებული გაზი. ასე გადაიქცა სინამდვილედ ლენინგრადის გაზიფიკაციის სტალინური გეგმა, რომლის განხორციელება სამნახევარი წლის წინათ დაიწყო.

კოხტლა-იარვე-ლენინგრადის გაზსადენი უდიდესი საინჟინრო ნაგებობაა. მის მშენებლებს დიდ სიძნელეთა გადალახვა მოუხდათ. 40 კილომეტრზე მეტ სივრცეზე ტრანშეა კლდიან გრუნტში იჭრებოდა, ვიგანტური ფოლადის მილები 30 კილომეტრზე ჭაობებშია გაყვანილი. მაგისტრალი სჭრის რამდენიმე დიდ მდინარეს, თორმეტჯერ გადის გზატკეცილის ქვეშ. ამოოვებულია მილონახევრე კუბმეტრი მიწა, 100 ათასზე მეტი კუბმეტრი კლდიანი გრუნტი.

გაზსადენის მშენებლობა დამთავრდა შარშან შემოდგომაზე. მშენებლებმა ჩაიბარეს გამოცდა — მთავრობის კომისიამ ჩინებული შეფასება მისცა მათს მუშაობას.

ამავე დროს ლენინგრადში აღდგენილ და ავებულ იქნა 195 კილომეტრი ქუჩის გაზის ქსელი და გაზსაგოლდერო სადგური.

ამჟამად ქალაქში ყველაზე იაფ სათბობს იღებს 50 ათასზე მეტი ბინა, რომლებშიც ნახევარ მილიონამდე კაცი ცხოვრობს. გარდა ამისა, ჩასართავად მომზადებულია კიდევ 60 კილომეტრი ქუჩის ხაზები. გაზს ყოველდღე იღებს ახალ-ახალი სახლი. გაზის სადღეღამისო მოხმარება ლენინგრადში ამჟამად ერთისამად სჭარბობს ომამდელს.

ის, რაც გაკეთებულია, მთლიანი გაზიფიკაციის გრანდიოზული პროგრამის მხოლოდ ნაწილია. ზამთრის მიუხედავად, გაზიფიკატორები ბევრ ქუჩაში მუშაობენ. წელს მათ უნდა გაიყვანონ მორიგი 60 კილომეტრი ქუჩის მაგისტრალი, რომელიც გაზს მისცემს კიდევ ათასობით ბინას.

სსრ კავშირის ელექტროსადგურთა სამინისტრომ შეასრულა ელექტროენერგიის გამომუშავების იანვრის გეგმა

სსრ კავშირის ელექტროსადგურთა სამინისტრომ შეასრულა ელექტროენერგიის წარმოების იანვრის გეგმა. გასული წლის იანვართან შედარებით ელექტროენერგიის გამომუშავება 16,5 პროცენტით გადიდდა. იანვრის დავალება გადაჭარბებით შეასრულეს ურალის, დონბასის, კუზბასის, ბაქოს, საქართველოს და სომხეთის ენერგოსისტემებმა. (საკდესი).

ჭიათურელ მაღაროელთა დელეგაცია გაემგზავრა ნიკოპოლში

ჭიათურა, 5 თებერვალი. ნიკოპოლელ მაღაროელთა მიწვევით ქ. ნიკოპოლს გაემგზავრა ჭიათურელ მაღაროელთა დელეგაცია, რომლიც მონაწილეობას მიიღებს გერმანელ-ფაშისტ დამსყრობთაგან ნიკოპოლის განთავისუფლების ხუთი წლისთავის აღსანიშნავ ზეიმში და შეიჯიბრებს ნიკოპოლისა და ჭიათურის მაღაროელებს შორის 1948 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს.

დელეგაციაში შედიან: ცენტრალური გამაუხეშებელი ფაბრიკის დირექტორი შალვა ახვლედიანი (დელეგაციის წევრ-მძღვანელი), სტალინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს მაღარკოვის თავმჯდომარე გერმანი ეზიაშვილი, ამავე მაღაროთა სამმართველოს წარჩინებული მებიგე გიქტორ გელბახიანი, ბერიას სახელობის მაღაროთა სამმართველოს მარგანეცის სტახანოველი ამწეშენი ვასილ ხვედელიძე, სტალინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს ქარხნების გამგე ალექსანდრე გაბესჩავა და ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს პარტბიუროს მდივანი გრიგოლ ყიფშიძე. (საქდესი).

არჩევნების აღსანიშნავ სტახანოვურ ვახშზე

ჯი კომპირის სახელობის ქარხანა

სახალხო სასამართლოს ს არჩევნების აღსანიშნავ სტახანოვურ ვახშზე დგას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მპილელი ვ. კორძაძე, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 400 პროცენტით ანაღდებს. სამაყო მაჩვენებლები მოიპოვეს კომკავშირელმა ზეინკალმა ს. ჩახიძემ და ხარატმა რ. სოხაძემ.

სახალხო მსაჯულის კანდიდატებმა ზეინკლებმა კ. ცოფურიშვილმა და თ. ვახვახიშვილმა არჩევნების დღისათვის — 6 თებერვლისათვის ექვს-ექვსი წლის ნორმები შეასრულეს.

საორთქლმავლო დეპო

არჩევნების აღსანიშნავ სტახანოვურ ვახშზე თავდადებული შრომის მაგალითებს იძლევა სახალხო მსაჯულის კანდიდატი სპილენძის შემდუღებელი მ. ნარიმანიძე, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 300 პროცენტით ანაღდებს. მან უკვე შეასრულა ხუთი წლის ნორმა.

სახალხო მსაჯულის კანდიდატ მემანქანე გ. პაქსაშვილის ორთქლმავალი სსრ კავშირის რკინიგზის მასშტაბით ვკლავ პირველ ადგილზეა.

არჩევნებისათვის მზადების დღეებში ასევე სანამუშოდ იმუშავეს სახალხო მსაჯულის კანდიდატებმა მეშინჯინეებმა ა. კაკულიაშვილმა, ვ. ნონიკაშვილმა და სხვ.

თავდადებული შრომის მაგალითს იძლევა ცხაური სტახანოველი ბ. ხმირიაშვილი, რომელმაც 6 თებერვლისათვის 14 წლისა და 6 თვის გეგმა შეასრულა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XIV ყრილობა

კამათი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხ. ს. ჯ ე ლ ი ძ ი ს ს ი ტ ყ ვ ა

(საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე)

ამხანაგებო! საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ჯანდიდ ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში მოგვცა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შედეგების ბოლშევიკური ანალიზი.

ჩვენი მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის მიღწევები შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიან ოჯახში საყვარელი ბელადის, ყველა ჩვენი გამარჯვების დიდი ორგანიზატორისა და შემოქმედის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს სოფლის მეურნეობის დარგში, კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-პოლიტიკური და სამეურნეო განმტკიცების საქმეში.

ჩვენს რესპუბლიკაში ყოველწლიურად იზრდება მოწინავე რაიონების, კოლმეურნეობების, ბრიგადების, რაოლების რიცხვი. ცნობილია, რომ მახარაძის, ზუგდიდის, ქობულეთის, ბათუმის, გალის, ლაგოდეხის, წითელწყაროს, ყვარლის და მთელ რიგ სხვა რაიონებს ყოველწლიურად მოწინავე ადგილი უკავიათ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და დამზადებათა გეგმების შესრულების საქმეში. მთელი მუშაობა ამ რაიონებში წარმართულია იმისაკენ, რომ ყველა კოლმეურნე ნაყოფიერად შრომობდეს. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად, ბრიგადირებათ და მერაოლერებად შერჩეული არიან საკოლმეურნეო საქმისათვის თავდადებული ადამიანები. მახარაძის რაიონში 40 კოლმეურნეობაა. აქ იშვიათად ნახავთ ისეთ თავმჯდომარეს, რომელსაც მუშაობის სამ წელზე ნაკლები სტაჟი ჰქონდეს. არიან ისეთი კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, რომლებიც 5-10 და მეტ წელს განუწყვეტლივ ხელმძღვანელობენ კოლმეურნეობას.

შემთხვევითი როდია, რომ სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობას, რომელსაც ამხ. ჯაბუა 12 წელზე მეტია ხელმძღვანელობს, სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას, რომლის თავმჯდომარეობაც ამხ. ორაგველიძე 10 წელზე მეტია მუშაობს, გალის რაიონის სოფილ ლენინის სახელობის კოლმეურნეობას. რომელსაც თავმჯდომარედ 1930 წლიდან ამხ. ჯგუბურია ჰყავს, ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობას, რომელსაც 1938 წლიდან ამხ. როგავა ხელმძღვანელობს, გორის რაიონის სოფელ თორტიზას ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობას, რომელსაც ამხ. ბერძნიშვილი 8 წელზე მეტია ხელმძღვანელობს და სხვა მრავალ ასეთ კოლმეურნეობას, ყველასათვის ცნობილი დიდი მიღწევები აქვთ. ეს კოლმეურნეობები ნამდვილ მსხვილ სოციალისტურ მეურნეობებად იქცენ. ამ კოლმეურნეობების მიღწევები და ის გარემოება, რომ მათ უხარიან მუშაკები ხანგრძლივი დროით უცვლელად ხელმძღვანელობენ, მჭიდროთაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

მოწინავეები ბევრია იმ რაიონებში, სადაც გულისხმიერად ზრდიან საკოლმეურნეო კადრებს და სისტემატიურად ეხმარებიან მათ მუშაობაში, არ უშვებენ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი კადრების ხშირ ცვალებადობას.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებში დიდი მუშაობა ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის შემთხვევების ლიკვიდაციისათვის. ამასთანავე საჭიროა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს საკოლმეურნეო მიწების დატაცებას, პროდუქტების, ფულადი სახსრების, შრომადღეების განაწილებასა და უყაირათო ხარჯვას. არ აქცევენ ყურადღებას საკოლმეურნეო დოკუმენტაციის წესრიგზე მოყვანას. შეხედებით ისეთი დოკუმენტების გაფუჭების და დაკარგვის შემთხვევებს, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება, მოწვთსარგებლობის წიგნი და სხვ. საჭიროა გავაძლიერთ მუშაობა კოლმეურნეობებში წესდების დარღვევათა აღსაკვეთად, არ დავუშვათ მიწების დატაცების და საკოლმეურნეო დოვლათის უკანონო ხარჯვისა და განიავების შემთხვევები, ხოლო ამ საქმეში დამნაშავეთა წინააღმდეგ მივიღოთ ჯანონით გათვალისწინებული ზომები.

ამჟამად კოლმეურნეობებში წარმოებს დიდი მუშაობა „კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და ანაზღაურების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 19 აპრილის ცნობილი დადგენილების განხორციელებისათვის.

მიუხედავად შრომის ორგანიზაციის მკვეთრად გაუმჯობესებისა, ჯერ კიდევ მთელ რიგ კოლმეურნეობებში შემჩნეულია გათანაბრება, მუშაობის სანარდო სისტემის გაუტარებლობა და, რაც მთავარია, კოლმეურნეთა საგრძნობი ნაწილის საკოლმეურნეო შრომაში ჩაუბმელობა. არ ექცევა სათანადო ყურადღება შრომის რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას, არის კოლმეურნეთა ერთი ნაწილის უნებართვო სიარული გარე სამუშაოებზე, რასაც ადგილ-დარევა შეაქვს მუშაობაში. საჭიროა ამ საქმეში დავამყაროთ წესრიგი. ჩვენ უნდა მოვაწყოთ კოლმეურნეთა გარე სამუშაოებზე ორგანიზებულად გაყვანა. ამას მოითხოვს როგორც კოლმეურნეობის, ისე ჩვენი მრეწველობის ინტერესები, რომელსაც მუშაობელი მრავლად ესაჭიროება.

ჩხარის რაიონში უკანასკნელ ხანში გაუმჯობესდა მუშაობა, მაგრამ ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ჩამორჩენას სასოფლო-სამეურნეო გეგმების შესრულებისა და მოსავლიანობის გადიდების საქმეში. ამის ძირითად მიზეზს წარმოადგენს კოლმეურნეობების შრომის მოუწესრიგებლობა, შრომის რესურსების დიდი ნაწილის გამოუყენებლობა. მაგალითად, რაიონში ცოტა არაა ისეთი შრომისუნარიანი კოლმეურნეთა რიცხვი ბევრად ნაკლებია რაიონის საკოლმეურნეო კომლთა რაოდენობაზე. სინამდვილეში ის შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ რაიონში ერთი კომლზე საშუალოდ ერთი შრომისუნარიანი კოლმეურნე მაინც არ მოდიოდეს. როგორც ჩანს დასახელებულ რაიონში შრომისუნარიან კოლმეურნეთა საგრძნობი ნაწილი კოლმეურნეობისათვის სავალდებულოდ არ თვლიან შრომადღეების მინიმუმის გამომუშავებას. ჩხარის რაიონის ხელმძღვანელებმა და სხვა ზოგიერთმა რაიონმაც. სადაც შრომის ორგანიზაციის საქმეში ანალოგიური მდგომარეობაა, უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები შრომის რესურსების გამოყენებაში არსებულ ნაკლთა აღმოსაფხვრელად. ყველა კოლმეურნის შრომაში აქტიურად ჩასაბმელად. ამისათვის საჭიროა განვამტკიცოდ და კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ კოლმეურნეობებში ბრიგადებისა და რგოლების მუშაობა.

„როგორც ამხანაგმა ჯ. ნ. ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რესპუბლიკის კოლმეურნეების გადაუდებელი ამოცანაა მოსავლიანობის შემდგომ ამაღლებასთან ერთად სათესი ფართობის გადიდება ახალი მიწების ათვისების გზით. ამ საკითხთან დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია აღინიშნო, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მრავალრიცხოვან და ზოგიერთ სხვა სამმართველოში წინათ არსებული ტენდენცია სათესი ფართობის შემცირების შესახებ არ არის დღემდე მთლიანად აღმოფხვრილი. ამ გარემოებას ადასტურებს ის ფაქტი, რომ სამინისტროში ჯერ კიდევ სათანადო მუშაობას არ ეწევა ახალი მიწების ათვისებისათვის. 1948 წლის 1 ნოემბერს მიღებულია დადგენილება მცხეთის რაიონში ახალი მიწების ათვისების შესახებ დაჯაობებული მიწების ამოშრობისა და ბუჩქნარების ამოძირკვის გზით ნასვენ ადგილებში. სამინისტროს დავალებული ჰქონდა 10 დღის ვადაში გადაეცა მცხეთის მტს-ისათვის სხვა ნაკლებად დატვირთული მტს-ებიდან 3 „ჩეტზ“ მარკის ტრაქტორი გუთნებით ახალი ფართობების ამოძირკვისა და ათვისებისათვის. დღემდე ეს დავალება სამინისტროს მტს-ების სამმართველოს უფროსს და მინისტრის მოადგილეს ამხ. პატიაშვილს არ შეუსრულებია. ამის გამო მცხეთის რაიონში გათვალისწინებული რაოდენობით ახალი ფართობების მიმდინარე წელს ათვისება გაძნელებულია.

დიდი მუშაობაა ჩატარებული კოლხიდში ამოშრობილი ახალი ფართობების ასათვისებლად.

საქართველოს რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების კლიმატური პირობები საშუალებას გვაძლევენ ვიწარმოოთ ნაწვერალზე იმავე წელს სხვა კულტურების თესვა, რაც მარცვლეულის მოსავლის თვითეულ ჰექტარზე 18-20 ცენტნერამდე გადიდება და სხვა. ცნობილია, რომ ამ ამოცანებს მტკიცე საფუძველი აქვს, ის დაყრდნობილია იმ დიდ მიღწევებზე, რაც რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფლებსა მოპოვებულა. ჩვენი კოლმეურნეობები და კოლმეურნეები საქართველოს ბოლშევიკების და მისი ხელმძღვანელის ამხანაგ ჩარკვიანის მეთაურობით, შიძლებენ განხორციელონ ეს ამოცანები. ეჭვი არ არის, რომ ქართველი ხალხი ამ ამოცანების წარმატებით შესრულებას დასახულ ვადაზე ადრე, ისე როგორც ყოველთვის, ვადამდე მოახერხებს დიდ სტალინს. (ტაში).

ამხ. ვ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს ს ი ტ ყ ვ ა

(საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგემოვნო მრეწველობის მინისტრი)

ამხანაგებო! ჩვენ ვიჯამებთ იმ უდიდესი მუშაობის შედეგებს, რაც საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისამ) XIII ყრილობის შემდეგ გასწია. სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით ამხანაგ ლ. პ. ბერიას მიერ აღზრდილი საქართველოს ბოლშევიკები და მთელი ქართველი ხალხი XIII ყრილობიდან XIV ყრილობამდე განვლილ პერიოდში შეუპოვრად და განუხრელად ახორციელებდნენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და დიდი სტალინის მითითებებს. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის მეთაურობით უნარიანად ხელმძღვანელობდა და წარმართავდა რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მთელ მუშაობას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სანგარიშო მოხსენებაში ამხ. კ. ნ. ჩარკვიანმა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ამოცანები დაუსახა საგემოვნო მრეწველობის მუშაკებსაც. ჩვენ ყველფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ მიეაღწიოთ საქართველოს სახალხო მეურნეობის ამ ფრიად მნიშვნელოვანი დარგის შემდგომ განვითარებას.

საგემოვნო მრეწველობის მნიშვნელობა მარტო იმ დიდი ხვედრითი წონით როდი განისაზღვრება, რომელიც მას აქვს რესპბლიკის სახალხო მეურნეობაში, არამედ იმითაც, რომ ამ მრეწველობის ბაზას წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ნედლეული. მაშასადამე, ჩვენი სოფლის მეურნეობის მთელ მრავალფეროვან პროდუქციას საბოლოო ანგარიშით მომხმარებელი ირებს საგემოვნო მრეწველობის საწარმოთა მეშვეობით.

1948 წელს საქართველოს საგემოვნო მრეწველობის საწარმოებმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა. გადაჭარბებით შესრულებულია ძირითადი, უმნიშვნელოვანესი სახის პროდუქციის გეგმები. 21 სახის პროდუქციიდან შესრულებული არ არის მხოლოდ 6 სახის პროდუქციის გეგმა.

მნიშვნელოვანი ეკონომია არის მიღწეული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით — 18.331 ათასი მანეთი. გადაჭარბებით არის შესრულებული დაგროვების გეგმაც. საერთო პროდუქციის გამოშვების დარგში 1940 წლის დონე გადაჭარბებულ იქნა ჯერ კიდევ 1947 წელს. ომისშემდგომი ხუთწლედის განსული სამი წლის მანძილზე დაგროვებამ შეადგინა 334 მილიონი მანეთი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 240 მილიონი მანეთისა.

მთელი რიგი წარმატებანი მიღწეულია აგრეთვე პროდუქციის, განსაკუთრებით ჩაის მრეწველობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოების დარგში.

რაც შეეხება მშენებლობის გეგმის შესრულებას, სურათი ასეთია: 1948 წელს კაპიტალური მშენებლობის გეგმა შესრულებულია 136 პროცენტით, ხოლო ხუთწლედის სამი წლის მანძილზე — 121 პროცენტით. ყველა უმნიშვნელოვანესმა მშენებლობამ, მაგ. შორის ჩაის მრეწველობის ზელმძღვანელობამ მშენებლობებმა, 1948 წელს შესრულეს მშენებლობის გეგმები.

სოფლის მეურნეობის დარგშიც მიღწეულია გარკვეული წარმატებანი. ჩაის, ყურძნის, თამბაქოს, ტუნგოს“ და ჩვენი მრეწველობისათვის გამოსაყენებელი სხვა ნედლეულის დამზადების გეგმები ყოველ წელიწადს გადაჭარბებით სრულდება. ჩვენ ეს წარმატებანი უმთავრესად მიგვაჩნია ჩვენი კოლმეურნეობების, რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების კარგი მუშაობის შედეგად.

ჩვენ გვაქვს აგრეთვე საკუთარი სასოფლო-სამეურნეო ბაზა — საბჭოთა მეურნეობები. 1948 წელს მათ საკმაოდ კარგ შედეგებს მიაღწიეს. მაგალითად, საბელწყიფოსათვის ყურძნის ჩაბარების გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა. ყურძენი მიღებულია 362 ტონით მეტი, ვიდრე 1940 წელს. ამასთან ყურძნის საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 44,3 ცენტნერი შეადგინა. მოსავლიანობის მხრივ ყველაზე კარგ შედეგებს მიაღწიეს: წინანდლის, ხირსის, მანავის, ყულარისა და ყვარლის საბჭოთა მეურნეობებმა. საბჭოთა მეურნეობებში არის ბრიგადები და რგოლები, რომლებმაც თვითეულ ჰექტარზე 105-175 ცენტნერი ყურძენი მიიღეს.

შარშან გამოყვანილ იქნა 2.793 ვაზის ნერგი. ეს გეგმის 101,3 პროცენტს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ გეგმა შესრულებულია, მერეღხარისხოვანი ნერგის გამოსავალი მაინც მცირეა. 1948 წელს მან მხოლოდ 34,1 პროცენტი შეადგინა. თუ უკეთესად ვიმუშავებთ, ჩვენ მერეღხარისხოვანი ვაზის ნერგის გამოსავალი სულ ცოტა 40-42 პროცენტის ოდენობით უნდა მივიღოთ.

ხილის მოსავალი შარშან 1.500 ტონას შეადგენდა — სულ 11,8 ცენტნერს საშუალოდ ჰექტარზე. მართალია, ეს დიდი მოსავალი არ არის, მაგრამ უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენი მეხილეობის საბჭოთა მეურნეობები ერთგვარად წესრიგზეა მოყვანილი, თუმცა იქ კიდევ ძალიან ბევრია სამუშაო. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების შარშანდელი მაჩვენებლები ამ მუშაობის პირველი შედეგია. და აშკარაა, წელს გაცილებით მეტ მოსავალს მოვიღებთ.

საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს საგემოვნო მრეწველობის რაიონული დაქვემდებარების საწარმოთა მუშაობას. 1948 წლის საერთო პროდუქციის გეგმა ამ საწარმოებმაც გადაჭარბებით შეასრულეს.

რაიონული დაქვემდებარების საწარმოები შესაბამისი ორმასკომების უშუალო გამგებლობაში არიან. ჩვენ მოვალენი ვართ დავგეგმით ამ საწარმოთა მუშაობა, ტექნიკური დახმარება გავუწიოთ მათ და უზრუნველვყოთ ნედლეულით მომარაგება. საგემოვნო მრეწველობის ზოგიერთ ამ საწარმოებმა 1948 წელს 22 ახალი ატრომანქანა მიიღეს. ჩვენ ეს საწარმოები უზრუნველვყოთ საწვავითაც, ჭერითაც, ალათიც, შაქრითაც, ბოთლებითაც.

უნდა გაძლიერდეს ადგილობრივი რაიონული მრეწველობის მუშაობის ფინანსური კონტროლი. რაიონულ ფინგანყებს ახლო კავშირი აქვთ რაიონული მრეწველობის საწარმოთა მუშაობასთან. მე მგონია, გაცილებით უფრო პრაქტიკული იქნება თუ სამჭეს ისე მოვაწყობთ, რომ სწორედ რაიონულმა ფინგანყებმა გაუწიონ კონტროლი ამ საწარმოთა ფინანსურ მუშაობას.

ჩემ მიერ მოყვანილი ცნობები ცხადყოფენ, რომ საქართველოს საგემოვნო მრეწველობა მეტად თუ ნაკლებად დამაკმაყოფილებლად მუშაობს და სწორად ვითარდება. მაგრამ ჩვენს მუშაობაში მთელი რიგი ფრიად არსებითი ნაკლოვანებანია. უწინარეს ყოვლისა, ეს არის ასორტიმენტის დარღვევა და პროდუქციის ცუდი გაფორმება. უნდა ვღიაროთ, რომ ბევრ შემთხვევაში ჩვენი კვებისა და საგემოვნო მრეწველობის გამოშვებული პროდუქცია უფრო ცუდად არის გაფორმებული, ვიდრე მოსკოვისა და ლენინგრადის საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქცია. ამავე დროს ჩვენ შეგვიძლია და კიდეცაც უნდა გამოვუშვათ არანაკლები ხარისხის პროდუქცია, რადგან ნედლეულის რესურსები და ჩვენი ნედლეულის ხარისხი სავსებით იძლევა ამის შესაძლებლობას.

ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ჩვენს საწარმოებში ნედლეულისა და დაბზარე მასალის ხვეგვიმთი დანაკარგი. ეს განსაკუთრებით ეხება თამბაქოს მრეწველობას, სადაც თამბაქოს და ჰილოს ქალალდის დიდი გადახარჯვა ხდება. ეს ეხება აგრეთვე „ლუღლიმონათის“ ტრესტის, ჩაისა და ღვინის მრეწველობის საწარმოებს.

როგორც ცნობილია, ჩაის მრეწველობის საწარმოები კარგად მუშაობენ. მაგრამ ჩაის ოთხმა ფაბრიკამ პროდუქციის ხარისხის გაუარესებისა და ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევის შედეგად მილიონობით ზარალი მოგვცა.

ჯერ კიდევ საკმარისი არ არის ბრძოლა გაფლანგვა-დატაცებასთან. მე მგონია, რომ პროკურატურის ორგანოები უფრო აქტიურად უნდა დაგეხმარონ ამ ბრძოლაში.

ჩვენს ნაკლოვანებებს წარმოადგენს აგრეთვე მოწყობილობის არასრული გამოყენება. შრომის არასაკმაოდ ზუსტი ორგანიზაცია და იმ მუშათა მნიშვნელოვანი პროცენტი, რომლებიც გამომუშავების ნორმებს ვერ ასრულებენ. არასაკმაო ყურადღება ეჩქცევა მეჭანიზაციის, რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის საკითხებს. ჯერ კიდევ ნელი ტემპით მიმდინარეობს მშრილობა, განსაკუთრებით სამინაო მშენებლობა. ეს გავლენას ახდენს კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებზე. უმთავრესად საბჭოთა მეურნეობებში.

უახლოეს წლებში საგემოვნო მრეწველობის განვითარების ტემპი დიდად გაიზრდება.

ნება მიბოძეთ უწინარეს ყოვლისა ამ თვალსაზრისით შევეხო ჩაის მრეწველობას. მთავრობამ ამ დარგში საშუშაოთა ახალი ვრცელი პროგრამა მიიღო: მკვეთრად უნდა გადიდდეს ჩაის გამოშვება. დასახულია კაპიტალური მშენებლობის დიდი პროგრამა. ჩვენ წელსვე უნდა დავიწყოთ 10 ახალი ჩაის ფაბრიკის მშენებლობა, გარდა ბუთი ფაბრიკისა, რომლებიც ამჟამად შენდება, ხოლო სულ 1958 წლამდე ავებულ უნდა იქნას არანაკლებ 50 ფაბრიკისა. ჩვენ მნიშვნელოვანი რაოდენობით უნდა ავაშენოთ ელექტროსადგურები და სხვა ნაგებობანი, გავაყვანოთ გზები. ჩაის მრეწველობის კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა წელს განსაზღვრულია 68.800.000 მანეთის ოდენობით.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ მშენებლობის ტემპი ყოველ შემთხვევაში უნდა გასამკეცდეს. ამასთან, როგორც ეს თავის მოხსენებაში სამართლიანად აღნიშნა ამხ. კ. ნ. ჩარკვიანმა, საგემოვნო მრეწველობა საკუთარი ძალებით, რა თქმა უნდა, ვერ გაართმევს თავს ამ ამოცანას. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ შეღავთის მოვითხოვთ. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ცხადია, სათანადო რაიონებმა, სადაც ჩაის ფაბრიკები აშენდება, უფრო აქტიური დახმარება გაუწიონ ახალ მშენებლობას.

გადაუდებელი ამოცანაა ჩაის ფაბრიკების მომზადება ჩაის ფოთლის გადაშუშავების სეზონისათვის. როგორც ეტყობა, გადაშუშავების სეზონი წელს შარშანდელზე უფრო ადრე დაიწყება. დაყოვნება არ შეიძლება, რადგან ჩვენ დავკარგავთ ჩაის მნიშვნელოვან რაოდენობას. ჩვენ უნდა მოვასწროთ ჩაის ათი ფაბრიკის რეკონსტრუირება, გავადიდოთ მათი სიმძლავრე—და ყოველივე ეს 15 აპრილამდე უნდა გავაკეთოთ. ვიმეორებ, ეს გადაუდებელი ამოცანაა, პირდაპირ სადღეისო ამოცანა.

1949 წელს უნდა მივაღწიოთ ჩვენი ჩაის ხარისხის გაუმჯობესებას. ყოველობს უნდა მოვახსენო, რომ ჩაის მრეწველობის წარმატებითი მუშაობის მიუხედავად მაინც შემოდის საჩივრები, რომ ჩაის ცალკეულ პარტიებში გარეშე მინარევია. ეს ზოგიერთი ჩაის ფაბრიკის ტექნიკურის დაუდევრობის და, რაც მთავარია, ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევის შედეგია.

ღვინის მრეწველობის დარგში ჩვენი მთავარი ამოცანა ერთის მხრივ არის პროდუქციის გამოშვების შემდგომი რაოდენობრივი ზრდა, რადგან წარმოების ომამდელი დონე ჯერაც არ არის მიღწეული, მაგრამ მთავარი ყურადღება ხარისხს უნდა მიექცეს. ჩვენ 40-მდე სხვადასხვა მარკიან ღვინოს ვუშვებთ, მაგრამ ცუდად ვიფორმებთ პროდუქციას. უნდა გადიდდეს აგრეთვე ისეთი უნიკალური ღვინოების გამოშვება, როგორიცაა, ხვანჭკარა, თუალუში, ქინძმარაული, ჩაბავრი და სხვა, რისთვისაც შესაბამისად უნდა გადიდდეს ვენახების ფართობიც.

მომდინარე წლიდან შამპანური გამოშვებულ იქნება არა ისე გაუბარაქებელად, როგორც დღემდე ხდებოდა. იქნება მარკა „ქართული შამპანური“. ეს ბევრად გააძლიერებს პასუხისმგებლობას პროდუქციის ხარისხისათვის. ხოლო მისი ხარისხი, როგორც ცნობილია, ბევრად არის დამოკიდებული შამპანური ჯიშების ყურძნის მოსავალზე. აქ ყველაფერი რიგზე როდია: სპეციალური შამპანური ჯიშების ვაზის გაშენების გეგმა არ სრულდება. ამას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

ამხ. ჯ. ნ. ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში დაგვისახა ამოცანა: 8-10 წელიწადში გავადიდოთ ღვინის გამოშვება ერთისამად, კონიაკისა—3-3,5-ჯერ. ეს ამოცანა რეალურია და მისი შესრულება შეიძლება. საგემოვნო მრეწველობის მუშაკები მთელ ძალღონეს მოახმარენ ამ ამოცანის განხორციელებას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხ. კ. ნ. ჩარკვიანმა უმნიშვნელოვანესი ამოცანები დაუსახა რესპუბლიკის მთელ პარტიულ ორგანიზაციას უაზროსი წლებისათვის. ეჭვი არ არის, რომ საქართველოს ბოლშევიკები, რომლებმაც უზრუნველყვეს წარმატებითი მუშაობა XIII ყრილობიდან XIV ყრილობამდე განვლილ პერიოდში და მუშაობის დიდ გამოცდილება შეიძინეს, შეიარაღებულნი ახლანდელი ყრილობის გადაწყვეტილებით. უზრუნველყოფენ ახალ გამარჯვებებს კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე. (ტაში).

გაუმარჯოს კომუნისტების და უპარტიოების სჯალინურ ბლოკს

გუშინ დედაქალაქის ლენინის რაიონში

ადრე იღვიძებს დედაქალაქის ლენინის რაიონი. განთიადის ბინდბუნდში, როცა ელექტროშუქებს ჯერ კიდევ შერჩენიათ თავისი მანათობელი ძალა, ფიზიზლობენ ტუბებულისა და მაგისტრალური, კავშისხვეთა და დეპოს, იმერეთისა და ბებდელიანის, ლტკინისა და ლეჩხუმის ქუჩები, ფხიზლობს თბილისის უდიდესი და ერთ-ერთი ულამაზესი ქუჩა — სპპკის ქუჩა. დილის ექვსსა და შვიდ საათს შუა აქ თითქმის უფრო მეტი მოძრაობა და ხმაურია, ვიდრე ათ-თერთმეტ საათზე. ადრე დილით უწყვეტ ნაკადად მიმოდიან სპპკის ქუჩაზე ტრამვაები და ავტობუსები, გადაყავთ მგზავრები.

ბევრი სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში მიიჩქარის, ბევრი 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში. აქ არის ამიერკავკასიის რკინიგზის უზარმაზარი მეურნეობა თავისი საკუთარი უბნებით, სარკინძლავო და საელმავლო დეპოებით. როგორც კი ფეხს შესდგამთ სტალინისა და ლენინის რაიონის შემაერთებელი, რკინიგზის გადასასვლელი დიდი ხიდის საფეხურებზე, იგრძნობთ ინდუსტრიის მძლავრ მაჯისცემას. აი, გადახვალთ ხიდს, გაჰყვებით სპპკის ქუჩას ავჭალისაკენ, და თქვენ უკვე დედაქალაქის ინდუსტრიულ ცენტრში ხართ. სპპკის ქუჩიდან არც ისე მოშორებით, გარდა ზემოჩამოთვლილი საწარმოებისა, არის ავტოსარემონტო, ზუსტი ხელსაწყოების, მუსიკალური ინსტრუმენტების, კიროვის სახელობ ის დაზგათმშენებელი ქარხნები, სართავ-სატრაკტორო კომბინატი, სამკერავალო ფაბრიკა.

აი, ამ ფაბრიკა-ქარხნებისა და მრავალ სხვა საწარმოთა მუშები მიიჩქარიან ადრე დილით თავიანთი დაზგებისაკენ.

ეს უბანი დილის პირველი საყვირებით ამცნობს ხოლმე დედაქალაქს მრავალი ბედნიერი დღის გათენებას.

ამ უბანმა ახალგაზრდა სტალინის ხელით ჩამორეკა ზარი მოახლოებული განთიადისა ჯერ კიდევ 1898 ელის დეკემბერში. კარგად ახსოვთ იგი რკინიგზის სახელოსნოების ძველ მუშებს!

ამტომაც ერთგულია ლენინის რაიონი თავისი სახელოვანი წარსულისა და ტრადიციებისა.

ეს ლენინის რაიონია, დედაქალაქში ყველა სახლხო-საზეიმო დემონსტრაციებს პირველი რომ უძღვის წინ.

ყოოს თავის სქმეში პირველი და მოწინავე, — აი ამ რაიონის თვითეული მშრომელის მისწრაფება.

თუნდაც კიროვის სახელობის დაზგათმშენებლობა ქარხანა ავიღოთ: გაშოდიხართ, ეთქვათ, სამჯერლო საამქროდან მშიერივრი შთაბეჭდილებით: „აი მუშაობა! რა დიდებული ადამიანები არიან!“

მაგრამ აგერ ამწყობი საამქრო! „ჩვენი საამქრო ქარხნის სული და გულია. პირველობას არავის დავუთმობთ, ამის უფლებას არ გვაძლევს ტრადიცია!“

ამას გრძნობთ თვითეული მუშის, ოსტატის, ინჟინრის გამომეტყველებაში.

სწორედ ეს სიყვარული, რწმენა საკუთარი სქმისა, ეს მუშური კეთილშობილური სიამაყე, იმის შეგნება, რომ სირცხვილია ვინმეს ჩამორჩე, — კიროველთა გამარჯვების საწინდარია. ამიტომაც შეასრულა ქარხანამ იანვრის საწარმოო დავალება საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გახსნის დღეს — 25 იანვარს, ხოლო თვის ბოლომდე დარჩენილ 5 დღეში ქვეყანას დამატებით მისცა გეგმის 10 პროცენტი.

ცხადია, ეს ქარხანა დღეგანდელ დღესაც — 6 თებერვალს — სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების არჩევნების საწარმოო გამარჯვებით ხვდება.

მოწინავეობისადმი მისწრაფება ცხადად ვიგრძნით გუშინ აქაც — № 5 საარჩევნო პუნქტში. იგი ქარხნის შენობაშია მოთავსებული და საუკეთესოდ არის მოწყობილი.

— თქვენ სხვა პუნქტებშიც იქნებოდით, როგორ არის იქ საქმე?! — გვკითხება რაისაბჭოს ალმასკომის რწმუნებული, კიროვის ქარხნის დირექტორის მოადგილე ინჟინერი რ. ყიფიანი და ცნობისმოყვარეობით შემოგვცქერის,— უნდა მალე გაგოს — ხომ არ გეჯობია სხვა პუნქტებიო. — ჩვენი პუნქტი სხვა დროსაც მოწინავე იყო, წინანდელი არჩევნების გამოცდილება გვაქვს, — დაუმატა თავმდაბალი კაცის ოდნავი ღიმილით ინჟინერმა, — ხელცარიელი როდი მოვდივ ჩვენები საარჩევნო ყუთთან, კარგი საწარმოო მაჩვენებლები მოვაქეთ!

და მართლაც, ჩარხების ამწყობ-გამომცდელმა შალვა სოსიაშვილმა გუშინ სამასი პროცენტით გაანაღდა საწარმოო დავალება, ამწყობმა ზეინკალმა ივანე ფირცხალავამ — 400 პროცენტით, ორდენოსანმა ამწყობმა ზეინკალმა არტემ ბენდიანიშვილმა — 296 პროცენტით, მლეკამა გრიგოლ ზარქუამ — 250 პროცენტით, ხარატმა პავლე ზუბრიცკიმ — 415 პროცენტით... ისინი დღეს ამაყად მიეწერ საარჩევნო ყუთებთან, მიეწერ იმ სასიამოვნო გრძნობით, რომ ცოტა რამ გუშინაც გაუკეთებიათ სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

და მერე ვის აძლევენ ისინი ღიას ხმას, ვის არჩევენ? — მათსავით მოწინავე ადამიანებს, ხალხის ერთგულ შვილებს. აი, ივანე სიორიძე — ბოლშევიკი, საქართველოში საბჭოთა ხელისოფლების დამყარებისათვის ბრძოლებისა და შემდეგ დიდი სამამოლო ომის მონაწილე, ორი სპრძოლო ორდენის კავალერი. იგი მე-8 საარჩევნო ოლქში იყრის კენჭს ლენინის რაიონის პირველი უბნის სახალხო მოსამართლის თანამდებობაზე. სახალხო მსაჯულთაგან, რომელთაც დღეს კიროველები ხმას მისცემენ თავიანთ საარჩევნო პუნქტში, — ბევრია მათი თანამედროვეც. ბევრია მათი საყვარელი ქარხნის კოლექტივის წევრი. აი, სტახანოველი დურგალი, კადრის მუშა, პარტიის წევრი ივანე ანასტასიადი, ამწყობი საამქროს ოსტატი, ორდენოსანი ვლადიმერ მაუთიძე, ძველი მჭედელი, ოსტატი შალვა ლაგვარაძე და სხვები.

გუშინ განსაკუთრებული სიცოცხლე და სიხარული იგრძნობოდა ლენინის რაიონის № 2 საარჩევნო ოლქის № 15 საარჩევნო პუნქტში. იგი რკინიგზის ქალთა მე-2 საშუალო სკოლის შენობაშია მოთავსებული. აქ რაისაბჭოს ალმასკომის რწმუნებულია სკოლის დირექტორი ალექსანდრა ჭურიძე. მოწინავე მასწავლებლების მ. ბაბუნაშვილის, ქ. მურუსიძის, თ. კანდელაკისა და სხვათა აქტიური მუშაობითაც აიხსნება, რომ პუნქტი საუკეთესოდ არის მოწყობილი. მოსწავლეები მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს ეხმარებოდნენ უფროსებს პუნქტის კეთილმოწყობაში. დღეს მოსწავლე გოგონების მომღერალ-მოცეკვავეთა გუნდები გაართობენ ამომრჩევლებს.

დამახასიათებელია, რომ ამ სკოლის მოსწავლეთა დიდი უმეტესობა მუშათა შვილებია. უყურებ ამ სახეგაცისკროვნებულ ბავშვებს და უფრო რწმუნდები მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებაში.

მშობლები—ამომრჩევლები თავიანთ ბავშვებს ატანენ სკოლაში ხალჩებს, ფარდაგებს, ნაირ-ნაირ ყვავილებს, ოთახის სხვადასხვა სამკაულებს. ყველას სურს დღეს იხილოს თავიანთი შვილების სკოლა განსაკუთრებით ლამაზი და მიმზიდველი. აქ ხომ საარჩევნო პუნქტია! აი, ორდენოსან მასწავლებელ კლავდია მურუსიძესთან მოირბინა გოგონამ. იგი მეხუთეკლასელია — ნათელა ბუნტარი.

— პატივცემულო მასწავლებელო, ჩვენცა გვაქვს შინ ხალიჩები, მეც შემიძლია მოვიტანო!

— ბავშვის ხმაში ოდნავი წყენა ჩანდა, — რატომ მე არავინ დამავალა რამე მომეტანა!

იცით ამ ბედნიერი ბავშვების მშობლებმა, ამომრჩევლებმა, რომ დღეს აქ ხმის აძლევენ საუკეთესო ადამიანს, სიდონია ნატროშვილს, იცით, რომ ამ ბ. ნატროშვილი კვლავინდებურად გაამართებს სახალხო მოსამართლის სატიო მოვალეობას. აქ ხმას მისცემენ სახალხო მსაჯულებად მესამე სავადგონ უბნის მჭედელ არჩილ გეიმრაძეს, ავტოქარხნის ეკონომისტ მარიამ ჩარაევანს, საელმავლო დეპოს ზეინკალს ილია ნანიტაშვილს, 26 კომისრის სახელობის ქარხნის ხარატს ანდრო ჭელიძეს, ავტოსარემონტო ქარხნის ბიბლიოთეკარს მარიამ ცქიტიშვილს, საელმავლო დეპოს მემანქანეს გიორგი ტაღახაძეს და ბევრ სხვა მოწინავე ადამიანს.

გუშინ ლენინის რაიონის საარჩევნო პუნქტებში ყველაფერი მზად იყო დღევანდელი დღისათვის.

დღეს ადრე დილით იწყებენ მშრომელები დენის საარჩევნო პუნქტებისაკენ, რათა ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

ქ. ლოლაძე
დ. მარიამიძე

ახალგაზრდა ამომრჩეველთა ჯგუფი — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწინავე სტუდენტები: (მარცხნიდან) სტალინური სტიპენდიატები შ. შენგელაია, ჯ. ლომაშვილი, შ. კორდღელაშვილი, რ. ბარაზი და ფრანგულენი ზ. კიკვიძე.
ფოტო რ. აკოფოვისა

ისინი გაამართლებენ ხალხის ნდობას

სახალხო სასამართლოების არჩევნების დღის დანიშვნისთანავე თბილისის სტალინის რაიონში ფართო მოსამზადებელი მუშაობა გაიშალა. რაიონში შეიქმნა 7 საარჩევნო ოლქი და 41 საარჩევნო პუნქტი.

7 სახალხო მოსამართლე და 525 სახალხო მსაჯული მოემსახურება ჩვენი რაიონის მოსახლეობას. მოსამართლეობის კანდიდატებად დასახელებულია ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი თავდადებული ადამიანები, რომლებიც ერთგული მუშაობით დაიმსახურეს ხალხის ნდობა. ასეთებია, მაგალითად, ლუბა არზიანი, ალექსანდრე ჭარბაძე და სხვ.

საწარმო-დაწესებულებათა საუკეთესო ადამიანები დასახელებული არიან სახალხო მსაჯულების კანდიდატებად.

980 ავიტატორი მუშაობდა საარჩევნო კამპანიის პერიოდში მოსახლეობაში. ისინი ამომრჩევლს აცნობდნენ სსრ კავშირის კონსტიტუციას, ესაუბრებოდნენ სასამართლო ორგანოების როლისა და ამოცანების შესახებ ჩვენს სახელმწიფოში და სხვ.

სანომუშოდ იმუშავა რაისაბჭოს ალმასკომის რწმუნებულთა უმრავლესობამ საარჩევნო პუნქტებში. მათ შორის აღსანიშნავია პირველი საარჩევნო ოლქის № 1 საარჩევნო პუნქტი (რაისაბჭოს ალმასკომის რწმუნებული ამხ. დ. ლ. ნინუა), მეორე საარჩევნო ოლქის № 2 საარჩევნო პუნქტი (რწმუნებული ამხ. ისაევი), მე-5 საარჩევნო ოლქის № 4 საარჩევნო პუნქტი (რწმუნებული ამხ. ცინცაძე) და სხვ.

სტალინის რაიონის მშრომელები დღეს დარაზმულად მივლენ საარჩევნო ყუთებთან და ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

თ. ჟუთათელაძე
მშრომელთა დეპუტატების თბილისის სტალინის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე

სიხარულით მისცემენ ხმას

ოჯახის სიხარულს სოფელი ეზიარებდა. ცნობისმოყვარე ალექსანდრა ზედიზედ აძლევდა მამას კითხვებს. მთელი სოფლის სიხარულის მიზეზი დაწვრილებით გამოიკითხა.

— სასამართლოს სწორი განაჩენი გვახარებს... ძველთა, შვილო, გლეხკაცს, როგით ადამიანს სასამართლო ყურადღებას არ აქცევდა, ყოველთვის გამტყუნებული გამოჰყავდა. ახლა კი სასამართლო ხალხის ინტერესებს, სამართლის ინტერესებს ეძახურება...— ეუბნებოდა ალექსანდრას აღფრთოვანებული მამა.

მრავალმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ამ ფაქტს შეესწრო ალექსანდრა ჯიქაევი, მაგრამ სოფლის ეს სიხარული წარუშლელად აღიბეჭდა მის მეხსიერებაში. ალექსანდრა ახლა თვითონ მუშაობს სტალინირის რაიონის სახალხო მოსამართლედ. იგი სოყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს რაიონის მშრომელებში.

შემთხვევითი როდი იყო, რომ ალექსანდრა ჯიქაევი მშრომელებმა კვლავ ერთსულოვნად დაასახელეს სახალხო მოსამართლედ სახალხო სასამართლოების არჩევნების სტალინირის რაიონის საარჩევნო ოლქში.

ამომრჩეველი სიხარულით ხვდებიან 6 თებერვალს, ისინი ერთსულოვნად მისცემენ ხმას თავიანთ ღირსეულ კანდიდატს ალექსანდრა ჯიქაევს.

ლენინგორის რაიონის დათოვლილი სოფლები დილით ადრე გაიღვიძებენ 6 თებერვალს. ამომრჩევლები გაეშურებიან საარჩევნო პუნქტებისაკენ, ხმას მიცემის წინ ერთხელ კიდევ გაიხსენებენ იმ კეთილშობილურ შრომას, რასაც ლენინგორის რაიონის სახალხო მოსამართლე, ამჟამად სახალხო მოსამართლედ ასარჩევი კანდიდატი ლენინგორის რაიონის საარჩევნო ოლქში ამხ. ნატალია ჯიოევი ეწევა.

საპრეტ ოსეთის მშრომელები სახალხო სასამართლოების ორგანოებში ერთსულოვნად აირჩევენ ლენინ-სტალინის საქმისათვის თავდადებულ ადამიანებს, ხალხის კეთილდღეობისათვის ერთგულ მებრძოლებს.

ვლ. გველაშვილი
„კომუნისტის“ საუთარი კორესპონდენტი

საბჭოთა სახალხო სასამართლო ახალი ამოცანების წინაშე

სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე 1938 წელს მიღებულ იქნა „ქართული სსრ კავშირის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ“, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი მოცემული საბჭოთა სახალხო სასამართლოს დანიშნულება და მისი ამოცანები სოციალისტური სახელმწიფოს სისტემაში.

სოციალისტური სახელმწიფოს მართლმსაჯულების პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობენ დიადი სტალინური კონსტიტუციიდან, ჭეშმარიტად დემოკრატიულია და უაღრესად ხელსაყრელია სსრ კავშირის თვითეული მოქალაქისათვის. ისინი უზრუნველყოფენ ეფექტიან ბრძოლას დამნაშავე ელემენტებთან, სახელმწიფოსადმი ატეუურ დახმარებას ახალი ცხოვრების მშენებლობისა და მშრომელთა ფართო მასების კომუნისტური აღზრდის საქმეში.

საბჭოთა სასამართლო სისტემის ძირითადი რგოლია სახალხო სასამართლო. მას ექვემდებარება სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა უდიდესი ნაწილი. ამრიგად, მართლმსაჯულებას ჩვენს ქვეყანაში, როგორც წესი, თვითეულ რაიონში ახორციელებს მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირში მყოფი სასამართლო — მოსამართლე და მსაჯულები, რომლებსაც კარგად იცნობენ იმავე რაიონის მცხოვრებნი.

სსრ კავშირის კონსტიტუცია, საჯაროდ აღიარებს რა სოციალისტური სახელმწიფოს მოქალაქეთა უფლებებს, ამასთან განსაზღვრავს მოქალაქეთა ამა თუ იმ ვალდებულებას, რომლის განუხრელად შესრულება უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალისტური ნაშთების აღმოფხვრისათვის. სტალინური კონსტიტუციის 130-ე მუხლში ჩაწერილია: „სსრ კავშირის ყოველი მოქალაქე ვალდებულია დაიცვას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის კონსტიტუცია, შეასრულოს კანონები, დაიცვას შრომის დისციპლინა, პატიოსნად მოეკიდოს საზოგადოებრივ მოვალეობას, პატივი-ცემით მოეპყრას სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს“. ჩვენი სასამართლო მოწოდებულია დაიხმაროს მოქალაქეებს საკონსტიტუციო მოვალეობათა განუხრელად შესრულებაში.

როგორ და რა გზით?

ცხადია, საბჭოთა მართლმსაჯულების ურყევად განხორციელების გზით.

ჩვენ ვამტკიცებთ სრულ კომუნისტურ საზოგადოებას. ამ უდიდესი ამოცანის შესრულება გვიხდება კაპიტალისტური სახელმწიფოების არსებობის პირობებში. კაპიტალისტური ქვეყნები ამერიკა და ინგლისის იმპერიალისტთა მეთაურობით გამალებით ემზადებიან ახალი ომისათვის სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. ომის გამჩაღებელთა რეაქციული ბრივის გამოაშკარავებისა და საყოველთაო მშვიდობისათვის ბრძოლის ავანგარდში დგას საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო. ასეთ ვითარებაში ჩვენ მოვგვეხოვება მეტეველი ბოლშევიკური სიფხიზლე. უნდა გვახსოვდეს, რომ მტრის აგენტურის ოინებისადმი სიფხიზლის მოდუნება, გულგრილობის გამოჩენა საბჭოთა კანონიერების დამრღვევთა მიმართ, რომელიც ზოგს აყენებენ საბჭოთა სახელმწიფოს, — პირდაპირი დანაშაულია ხალხის წინაშე.

შესაძლებელია ისეთი შემთხვევა, როდესაც საიდუმლო დოკუმენტებზე საბუთიდან დაშვებულ ცალკეულ მუშაობა უხეში დაუდევრობის შედეგად მტრის აგენტურას ხელში ჩაუვარდეს რაიმე უძვირფასესი სახელმწიფო საიდუმლო ცნობა. ეს ხომ უდიდესი დანაშაულია სახელმწიფოსა და სამშობლოს წინაშე! ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 9 ივნისის ბრძანებულებას „სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურებისა და ისეთი დოკუმენტების დაკარგვისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას შეიცავენ“. საბჭოთა სასამართლო ვალდებულია ამ ბრძანებულების დამრღვევ პირებს სისხლის სამართლის სასჯელის ზომა შეუფარდოს.

საბჭოთა მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს სოციალისტური საკუთრების დაცვის შემდგომი გაძლიერება. სტალინური კონსტიტუცია, რომელიც მთელი ხალხის ნებასურვილს გამოხატავს, ქურდებსა და მტაცებლებს თანაბარებს ხალხის მტრებთან. ამით ხაზგასმულია არა მარტო ის, თუ რა საშიშროებას წარმოადგენს სახალხო დოვლათის მტაცებლობა, არამედ ისიც, თუ რამდენად უტანელია მტაცებლობა კომუნიზმისთვის ბრძოლის პირობებში.

სოციალისტური საკუთრების განმტკიცების საქმეში უდიდეს როლს ასრულებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულება „სახელმწიფოთა და საზოგადო ქონების მიტაცებლობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“. ეს ბრძანებულება სოციალისტური საკუთრების შემდგომი განმტკიცების, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის მძლავრი იარაღია. საბჭოთა სასამართლო მოვალეა განუხრელად იბრძოდეს ღირსეული ბრძანებულების ზუსტად განხორციელებისათვის.

საზოგადოებრივი ქონების მტაცებლობისათვის დასჯილი სანქციის გაძლიერების პარალელურად საჭიროა თვითონ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გაამახვილონ ყურადღება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვისადმი. ამ მხრივ დასაშალებრივ გულგრილობასა და დაუდევრობას, ბოლო უნდა მოეღოს. უნდა აღიკვეთოს ისეთი პრაქტიკა, როდესაც მტაცებლობა და მფლანგველების მხილება ჭიანურდება, ხოლო ზოგჯერ, როდესაც ისინი მხილებული არიან, დაბეით დახასიათებას იღებენ თავიანთი სამუშაო ადგილიდან. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ორგანოებს ხელი ეშლებათ მუშაობაში, დანაშაულის ქვალიფიკაციის განსაზღვრასა და სასჯელის ზომის ზუსტად შეფარდებაში.

მტაცებლობასთან ბრძოლაში უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ამავეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებას „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“.

კომუნისტური საზოგადოების მშენებელ მოქალაქეთა პირადი ქონების, მათი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა ყოველთვის შეადგენდა და შეადგენს სახელმწიფოს მართლმსაჯულების ორგანოთა უმნიშვნელოვანეს მოვალეობას. ბრძოლა მოქალაქეთა ქონების დაცვისათვის უფრო ოპერატიული უნდა იყოს.

ჩვენს ქვეყანაში არ არის უმუშევრობა და არ არსებობს ისეთი პირობები, რომლებიც აიძულებენ ადამიანს ხელი მიჰყოს პარაზიტულ ცხოვრებას. ამიტომ აშკარაა, რომ ისინი, ვინც ჰპარავს სახელმწიფოს, კოლმეურნეობას, მოქალაქეს, ეწერიადმდეგებიან სოციალისტურ საზოგადოებაში თანაცხოვრების წესებს და იზოლირებულ უნდა იქნან.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახალხო სასამართლოს ბრძოლას შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. ჩვენს ქვეყანაში შრომა გმირობისა და ღირსების საქმეა. ადამიანი, რომელიც პატიოსანი და გმირული შრომის შესანიშნავ მაგალითებს იძლევა, საბჭოთა მთავრობისა და მთელი ხალხის სიყვარულითა და ყურადღებით სარგებლობს. ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა ღირსეულად აფასებენ ჩვენი სამშობლოს წარჩინებულ ადამიანთა შრომითს მაჩვენებლებს. ჩვენს ქვეყანაში ათასობით არიან სოციალისტური შრომის გმირები, მთავრობის მიერ ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებული ადამიანები, რომელთა ცხოვრება გაითქვეს როგორც კომუნიზმის მოწინავე და აქტიური მშენებლებმა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც არ მუშაობენ პატიოსნად, არ იცავენ შრომის დისციპლინას და ხელისშემშლელება-დაც კი გვეკლინებიან წარმებაში. ამიტომ სასამართლო, როდესაც ებრძვის შრომის დისციპლინის დამრღვევებს წარმოებაში, დაწესებულებასა და კოლმეურნეობაში, ამით ასრულებს მართლმსაჯულების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას: იგი არა მარტო სჯის, არამედ ხელს უწყობს შრომის სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას, მშრომელთა კომუნისტურად აღზრდას.

სახალხო სასამართლოს დაკისრებული აქვს სერიოზული ამოცანა სახელმწიფო დისციპლინის დაცვისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეშიც. საბჭოთა სასამართლო განსაკუთრებით მკაცრი უნდა იყოს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც თანამდებობის პირის დანაშაულებრივ საქმიანობას ზიანი მიუყენებია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებისათვის, ან როდესაც არსებობი ზიანი მიუყენებია მოქალაქეთა კანონიერი ინტერესებისათვის. ჩვენი სასამართლოს იურისდიქციიდან გამორიცხული არ არიან პასუხისმგებელი თანამდებობის პირები. კანონს წინაშე ყველა თანასწორია და არავითარი თანამდებობრივი მდგომარეობა არ ათავისუფლებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ვინც უნდა იყოს, თუ კი მას დანაშაული ჩაუდენია.

სასამართლოების წინაშე მდგომ ამოცანათა შორის სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე უსასტიკეს ბრძოლას მექრთამეობასთან. ამ დანაშაულის განსაკუთრებული საშიშროება ის არის, რომ იგი იწვევს აპარატის გახრწნას, მის ჩამოშორებას მასებისაგან, სპობს სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე მოვალეობის შეგნების გრძნობას და ძირს უთხრის ხელისუფლებისა და მისი ორგანოების ატორიტეტს.

იმ მოსამართლეებს, რომელნიც მოწყალე თვალით უყურებენ მექრთამეებს, უნდა გავახსენოთ რაც ამბობდა ამ საკითხზე ვ. ი. ლენინი თავის ცნობილ წერილში პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი. ლენინი მოითხოვდა: „გთხოვთ დაუყონოთ დღის წესრიგში საკითხი პარტიიდან იმ წევრების გარიცხვის შესახებ, რომლებიც, როგორც მოსამართლენი, არჩევდნენ მექრთამეთა სკმეს (1918 წ. 2(V-ს) და მიუსჯეს მათ პატიმრობა 1/2 წლით, მიუხედავად იმისა, რომ ქრთამის აღება დამტკიცდა სასამართლოში და დამნაშავეთა მიერ აღიარებული იყო. მექრთამეების დახვრეტის მაგიერ ასეთი გამამხსარავებელი სუსტი და რბილი განაჩენის გამოტანა სამარცხვინო საქციელია კომუნისტისა და რევოლუციონერისათვის“ (ლენინის კრებული XXI, გვ. 223).

ჩვენი სასამართლოების მუშაობა ამ ეტაპზე მარტო აღნიშნულით არ ამოიწურება. მათ მოეთხოვებათ უფრო გაძლიერობა და ეფექტიანობის შეტანა ორგანიზაციებში დაუდევრობის, უყაირათობისა და ვაჭრობის წესების დარღვევის წინააღმდეგ, კიდევ უფრო ეფექტური ზომები მიიღონ სპეკულანტების, — ქვეყნის ამ პარაზიტების წინააღმდეგ, რომლებიც აყაშრომიდის ცხოვრებას ეწევიან და შრომეულთა ხარჯზე ცხოვრების აყენებენ ისწრაფვიან. სპეკულანტება ესასტიკად დასჯა სასამართლო ორგანოების გადაუდებელი ამოცანაა.

საბჭოთა სასამართლო მასების კომუნისტური აღზრდის მძლავრი იარაღია. სასამართლოს მოვალეობას შეადგენს აწარმოოს ბრძოლა საყოფაცხოვრებო დანაშაულობებთან, რაც არღვევს და ძირს უთხრის სოციალისტური თანაცხოვრების წესებს. ამ დანაშაულობათა ძირის ყველაზე უფრო სერიოზულ ზომქმედებას მოითხოვს ხულიგნობა.

სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე სასამართლოს მუშაობას სამოქალაქო საქმეებზე. სამოქალაქო დავის საქმეთა განხილვის მეშვეობით სასამართლო ხდება კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის საწყისების ძლევარ გატარებლად ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროში, ხელს უწყობს მათ შორის საბჭოთა ურთიერთობების შეგვებისა და საბჭოთა მორალის დანერგვას.

სასამართლოში სამოქალაქო უფლებების სწორად გამოკვლევა და დადგენა უზრუნველყოფს სწორი გადაწყვეტილების გამოტანას კონკრეტულ საქმეზე, ამით სასამართლო ხელს შეუწყობს სახელმწიფო დისციპლინის, სოციალისტური ყოფაცხოვრებისა და თანაცხოვრების წესების განმტკიცებას.

ასეთია საბჭოთა სამართლმსაჯულების ადგილობრივ ამოცანები სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

დღეს ჩვენს რესპუბლიკაში სახალხო სასამართლოების არჩევნებია. საქართველოს მშრომელებმა სახალხო მოსამართლეებად და სახალხო მსაჯულებად დაასახელეს სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები, მოწინავე ადამიანები, რომლებსაც შესწევთ უნარი განუხრელად განახორციელონ საბჭოთა კანონები.

ერთსულოვნად მივცეთ ხმა დასახელებულ კანდიდატებს, იცინრითო ისინი სახალხო სასამართლოების შემადგენლობაში! ამით ჩვენ ხელს შევუწყობთ სახალხო სასამართლოების შემდგომ განმტკიცებას, საბჭოთა სამშობლოს ძლიერების გადიდებას.

ა. ჯავახია
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

ი. ბ. სტალინის მიერ კინგსბერის სმიზის კითხვებზე გაცემული პასუხის გამო

ამერიკის შეერთებული შტატები

ვაშინგტონი, 3 თებერვალი. (საქ.დეპ.). კორეულის პრეზიდენტი წეურებმა—სტანტონ ტელეგრამა და წარმომადგენელთა პალატის წევრმა მარკანტონიმ — მწუხარება გამოთქვეს, რომ ფარყანოფილი წინადებანი ი. ბ. სტალინისა და ტრუმენის შეხვედრისა და მოლაპარაკების შესახებ.

მარკანტონიმ განაცხადა: „აჩრსონი აყეთებს ყოველივეს, რაც კი ძალუძს, რათა არ დაუშვას ხანგრძლივი მშვიდობის დამყარება... ახლოსაა ლაპარაკი ამერიკელ ხალხს ვერ მოატყუებს".

ნიუ-იორკი, 3 თებერვალი. (საქ.დეპ.). გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი" გამოდის, წერს: „პრეზიდენტისა და სახელმწიფოს მდივნის ჰალიფაქსში მოგზაურობა წინააღმდეგობას წააწყდა რესპუბლიკელების მხრიდან, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ეს მოგზაურობა ხელსაყრელ შემთხვევას მისცემს პრეზიდენტს მოინახულოს ომით დაზარალებული ქვეყნები და ამით ხელი შეუწყოს ომის დასრულებას".

„ჰერალდ ტრიბიუნი" აღნიშნავს, რომ ეს მოგზაურობა ხელსაყრელ შემთხვევას მისცემს პრეზიდენტს გაეცნოს ევროპის ეკონომიკურ მდგომარეობას და ამით ხელი შეუწყოს ამერიკის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

„ნიუ-იორკ ტაიმსი" ვაშინგტონიდან კორესპონდენტი კრაკი, აღნიშნავს რა შეერთებულ შტატებში პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის აღმოსავლეთ ევროპის ამა თუ იმ ქვეყნის არსებობას, რომლებიც დაეინტერესებულები: სპეციალ „შვიდობიანი კონფერენცია" ტრუმენსა და ს. ტალინს შორის, წერს, რომ ეს ჯგუფი, „უეჭველია, პრეტენზიას განაცხადებს ახლონის პოზიციის წინააღმდეგ, რომელიც მკვეთრად უარყოფს ამ პრობლემისადმი სტალინის მიდგომის ფორმასა და არსს".

ნიუ-იორკი, 3 თებერვალი. (საქ.დეპ.). გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტის". მომხსენებელი—გაზეთ „ნიუ-იორკ სტარის" ყოფილი მთავარსარედაქტორი—სტოუნი აცხადებს, რომ „სტალინს სურდა საზაფო მოლაპარაკება დაეწყო ტრუმენთან. ამის გაგება ყველას შეუძლია. ახლონსა ამაზე უპასუხა 2 თვისწინებით განცხადებით. ეს ერთობ ბევრი სიტყვაა. სათაურებით ეს სიტყვები ასე გამოიხატება: „შეერთებული შტატები უარყოფენ საბჭოთა საშინელობის წინადადებას". „ხალხი ატყვის: რუსებს სერთ მშვიდობა, ამერიკელებს კი არა სერთ".

ეხება რა ახლონის მიერ ომის დამოშვებას, რომ ორივე მხარე ვალდებულება იკისრა მხარი დაუჭიროს მშვიდობას გაეროთანებული ერების ორგანიზაციის წესდების საფეძველზე თავის ვალდებულებათა შესაბამისად, სტოუნი აცხადებს: „რუსებს შეეძლოთ აკთხონ, ამ ვალთხევაში რატომ ცდილობენ შეერთებული შტატები ბაზები მიიღონ მათი საზღვრების მახლობლად".

ნიუ-იორკი, 4 თებერვალი. (საქ.დეპ.). „მეცნიერების, ხელოვნებისა და თავისუფალ პროფესიათა მუშაკთა ეროვნული საბჭომ" პრესის წარმომადგენელს განუცხადა, რომ მან მიმართა გუეჯზავნა ტრუმენს, სადაც დაკიდებით მოითხოვს, რომ პრეზიდენტი შეხვედა ი. ბ. სტალინს, და აღნიშნავს, რომ ტრუმენის უარი შეხვედრაზე „იმაში, რომ ცნობილია ამერიკის ხალხის მშვიდობის მოყვარეობა და ამ ხალხის ინტერესით ხელმძღვანელობა, წარმოადგენს ძალიან მძიმე წინააღმდეგობას ამ ხალხის მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარების გზაზე".

ეროვნული საბჭოს მიმართვაში ნათქვამია: „რომდენადაც მასპინძები, მეცნიერი მუშაკები და თავისუფალ პროფესიათა პირები მშვიდობის საქმის ერთგული არიან, ჩვენ უდიდესი ინტერესით შევიტყეთ სტალინის პასუხი კინგსბერი სმიტის კითხვაზე, პასუხი, რომელიც საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელი აღნიშნავს, რომ იგი მზად არის შეეხვედროს თქვენ იმ პრობლემათა განსახილველად, რომლებიც ამჟამად ფერხებენ სამდეთი მშვიდობის მიღწევას...

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის არ არსებობს არც ერთი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც მოლაპარაკების გზით არ შეიძლებოდეს, თუ ორივე მხარე კეთილსურველობა და მოთმინებას გამოიჩენს.

მეორე შესაძლებლობაა „ცივი ომის" განგრძობა მსოფლიოს გათიშვისა და ომისათვის გამუდმებული მზადების პირობებში, ომისა, რომელიც გვექნება კატასტროფის, რაც დაღუპავს ჩვენს ცივილიზაციას.

პრემიერ-მინისტრ სტალინის მიწვევა სულით და გულით უნდა მივიღოთ, თორემ ჩვენ ბრალს დავდებდენ, რომ ცინიკურად ვარდებით თავს პასუხისმგებლობას ხანგრძლივი მშვიდობის დამყარებისათვის დაუცხრომელი პოლიტიკის ხელისუფლებისაგან და ომისათვის მზადებისაკენ".

საბჭოში, რომლის თავმჯდომარეც არის ჰარვარდის უნივერსიტეტის ასტრონომიული ობსერვატორიის დირექტორი პროფესორი შეპლი, ბევრია თვალსაჩინო მოღვაწე, რომლებიც მხარს უჭერდნენ ეულეის კანდიდატურას პრეზიდენტის პოსტზე.

ინგლისი

ლონდონი, 3 თებერვალი. (საქ.დეპ.). გაზეთი „დეილი უორკერი" ეხება ამერიკის შეერთებული შტატების უარს სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მშვიდობის პაქტის დადებაზე და წერს: „ეს მეთვალყურეების აძაღელებს იფიქრონ, რომ შეერთებული შტატები არ პირველ შეიქმნებიან ომის საერთაშორისო მფლობელობაზე". გაზეთი აღნიშნავს, რომ ი. ბ. სტალინის დეკემბრის დიდი შეპაზეკვილი მოსდევნა ამერიკელი ხალხზე.

ლონდონი, 3 თებერვალი. (საქ.დეპ.). ინგლისის საგარო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა უპასუხა კითხვაზე და 3 თებერვალს განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა ბრიტანეთის ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო მდგომარეობის შესახებ ი. ბ. სტალინის ბოლო განცხადებით სრულიად კმაყოფილია.

„თუ ხალხმა,—განაგრძობს „ლობერსიონი",—დაიწყო ფიქრი შეიძლებაზე, მაშინ ვერ გაძლებს ვერც ერთი სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც მხედველობაში არ იღებს მის ნებას-სურვილს".

პოლონეთი

ვარშავა, 4 თებერვალი. (საქ.დეპ.). შეერთებული შტატების მიერ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მშვიდობის პაქტის უარყოფის პოლონეთის საზოგადოებრივი აღშფოთება გამოიწვია.

ორივე ნაბეჭდურ ფურცელ მრავალ მილიონ ადამიანს, წერს მონწილე ტატიანი გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ", კვლავ გაეცნოთ ამ ფილი.

„სააშინოა მთავრობა განეწყვეტილად და სისტემატურად, ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში, აცხადებს,—ნათქვამია შემდეგ მოწინავე სტატიაში,—რომ იგი გეხ ხედავს რამე დაბრკოლებას, რომელიც შეეძლებელს ხდიდეს ორივე დიდი სახელმწიფოს—სსრ კავშირისა და შეერთებული შტატების მშვიდობიანი თანამშრომლობას. საბჭოთა მთავრობა გადაჭრით ამბობს, რომ მზად არის შეუდგეს მოლაპარაკებას, რომელსაც მოჰყვებოდა ყველა საჭირო საკითხის გარკვევა და გადაწყვეტა".

„ომის გამწყვეტელი ერთი საშუალებაც დარჩენილათ,—წერს „გაზეტა ლუდუა",—შეარყიონ ნდობა ი. ბ. სტალინის წინადადებებისადმი და დაამცირონ მათი მნიშვნელობა. ასინი ამ მიმართულებით მოქმედებენ, მაგრამ მთელი მათი ღონისძიებანი ამაოა".

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 4 თებერვალი. (საქ.დეპ.). ჩეხოსლოვაკიის პრესამ გამოაქვეყნა ცნობა, რომ ტრუმენი უარს ამბობს სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მშვიდობის პაქტზე.

გაზეთები „რუდე პრავო", „პრაცე", „სვობოდნე სლოვო", „ობრაზნა ლიდუ" ამხილან დაყავშირებით აცხადებენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ცდილობენ ხელი შეუშალონ ამ ღონისძიებას.

გაზეთი „ლიბერასიონის" მოწონავე სტატიაში ლეი მარტენ-შოფიე წერს: „სტალინი თავისი მეორე დებეშით ტრუმენს შეხვედრის წინადადებას ძლევს. ჯანმრთელობის მდგომარეობა სტალინს ნებას არ ანლევს ხანგრძლივად იმგზავროს, ხოლო პრეზიდენტ ტრუმენს არა სურს თავი შეიწუხოს. ინგლისის ეშინია შეხვედრისა, ხოლო კეი, რომელიც თეორი სახლის ერთგული საყვარია, დასწყალ გაეცნილა იმერიას. მაგრამ საქმე ხომ მშვიდობას ეხება, რომელიც სწუხია ყველა ხალხს და რომელიც არ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას, თუ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის მოლაპარაკება არ მოხდა.

დასაფლეთ ქვეყნების მთავრობებს არა სჩვევიათ არც შეშფოთება, არც სურველები და არც ინტერესები, რომლებიც ხალხებს სჩვევიათ, ამიტომ რომ დასავლეთი ქვეყნების მთავრობებს არ გააჩნიათ მორალური ძალა თვალი გაუსწორონ მშვიდობას. მათთვის საჭიროა იარაღით გადეფენილი მშვიდობა, რომელიც შედგება ომისათვის მზადყოფი ბლოკებისაგან".

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ტრუმენის წარმატება არჩევნებში იმით ახსნება, რომ ხალხმა გამოიჩინა მშვიდობისადმი მისწრაფება. და: „განა ამერიკელმა ამომრჩევლებმა იმიტომ თქვეს უარი მხარი დაეჭირათ დიუისთვის, რომ პოტუებელი ყოფილიყენენ?—კითხულობს გაზეთი.

ბულგარეთი

სოფია, 4 თებერვალი. (საქ.დეპ.). ცენტრალური პრესა კვლავ ბეჭდავს სტატიებს, რომლებიც მიძღვნილია ამხანაგ სტალინის პასუხისადმი ამერიკის მთავრობას აკისრია უდიდესი პასუხისმგებლობა თავისი უარისათვის,—წერს პიერ კურტადი გაზეთ „ლუმანიტეში". — ვაშინგტონის მიერ დასაბუთებული მიზეზები ამ უარს ვერ გაამართლებენ". პიერ კურტადი ამტკიცებს, რომ ქერნალ „ეუნაიტედ სტეიტს" 6 ნოემბერ რიპორტში" სტალინის წინადადების გამოქვეყნებამდე დაიბეჭდა ამ ცენრალის დირექტორის სტატია, სადაც ნათქვამი იყო: „ჩვენგან მოითხოვენ წელიწადში 15 მილიარდ დოლარამდე შეიარაღებაზე და დამატებით 1 მილიარდი— ატლანტის კავშირის ქვეყნებისათვის იარაღის მისაწოდებლად. ცხადი, რომ სამხედრო ხარჯები ამერიკის შესაძლებლობას აძლევენ შექმნას ყალბი აყვავების მოჩვენებითი ილუზია, ეკონომიკა დაფუძნებულია ომზე და ომისათვის მზადებაზე". ამ ნაწყვეტის შემდეგ პიერ კურტადი ამბობს: „ამ ციფრებიდან ნათელია, რომ ამერიკის ხელისუფლების ნაწილი ომს ისურვებს".

იტალია

რომი, 3 თებერვალი. (საქ.დეპ.). გაზეთები თვალსაჩინო ადგილს აქცევენ ამხანაგ სტალინის დეპეშის ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ჰალ ნეის სერეგის გაგზავნის შესახებ. გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ამ ფაქტის მნიშვნელობა ის არის, რომ ეს ნაბიჯი გადადგა ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რომელიც ამ პოსტზე ყოფნის განმავლობაში ხშირად ამხილა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ანტისაბჭოთა ტენდენციები.

„ომის შიში ამერიკის ხალხის ფსიქოლოგიის ნაწილია, ამბობს გაზეთი „ტემპო". ამ შიშის ნაწილობრივ ახსნა ის ფაქტია, რომ ამერიკის ხალხი ომის ნაყოფიერ ეკონომიკურ შედეგებს ხედავს, მაგრამ ომის ტანჯვა-ვაებას ვერ ხედავს, რადგან ომი ამერიკის ტერიტორიაზე არ მიმდინარეობს".

„ომის ნაყოფიერ შედეგებზე ამერიკის ხალხის ფსიქოლოგიაში ლაპარაკობს გაზეთი „ეპოკა". ამ ფსიქოლოგიის ნაწილობრივ ახსნა ის ფაქტია, რომ ამერიკის ხალხი ომის ნაყოფიერ ეკონომიკურ შედეგებს ხედავს, მაგრამ ომის ტანჯვა-ვაებას ვერ ხედავს, რადგან ომი ამერიკის ტერიტორიაზე არ მიმდინარეობს".

ამერიკა

ვაშინგტონი, 3 თებერვალი. (საქ.დეპ.). ამერიკის მთავრობას აცნობეს ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ, რომ ინგლისის მთავრობა ამერიკის მთავრობასთან ერთად მიიღებს ზომებს, რომ ხელი შეუშალოს ინგლისის ტერიტორიაზე ფაშისტური ორგანიზაციების ორგანიზებას.

ნიუ-იორკი, 3 თებერვალი. (საქ.დეპ.). ამერიკის მთავრობას აცნობეს, რომ ინგლისის მთავრობა ინგლისის ტერიტორიაზე ფაშისტური ორგანიზაციების ორგანიზებას ხელს შეუშლის.

ნიუ-იორკი, 3 თებერვალი. (საქ.დეპ.). ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰალ ნეიმ მიიღო ინგლისის ელჩი ლორდ ლოთიანი, რომელსაც ინგლისის მთავრობის სახელით განუცხადა, რომ ინგლისის მთავრობა ინგლისის ტერიტორიაზე ფაშისტური ორგანიზაციების ორგანიზებას ხელს შეუშლის.

ნიუ-იორკი, 3 თებერვალი. (საქ.დეპ.). ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰალ ნეიმ მიიღო ინგლისის ელჩი ლორდ ლოთიანი, რომელსაც ინგლისის მთავრობის სახელით განუცხადა, რომ ინგლისის მთავრობა ინგლისის ტერიტორიაზე ფაშისტური ორგანიზაციების ორგანიზებას ხელს შეუშლის.

ნიუ-იორკი, 3 თებერვალი. (საქ.დეპ.). ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰალ ნეიმ მიიღო ინგლისის ელჩი ლორდ ლოთიანი, რომელსაც ინგლისის მთავრობის სახელით განუცხადა, რომ ინგლისის მთავრობა ინგლისის ტერიტორიაზე ფაშისტური ორგანიზაციების ორგანიზებას ხელს შეუშლის.

კორეის უმაღლესი სახალხო კრების სესია

ფხენიანი, 4 თებერვალი. (საქ.დეპ.). 31 იანვარს და 1 თებერვალს მეშობას განაგრძობდა კორეის უმაღლესი სახალხო კრების მეორე სესია.

31 იანვარს წარმოეხდა კამათი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრ პაკ ხენ ენის მოხსენების გამო. კამათში გამოვიდა ორ დეპუტატი. ყველა გამოსულმა ერთსულოვნად მოიწონა მთავრობის საგარეო პოლიტიკა.

დეპუტატ ტაან სინ მეხის (სამხრეთ კორეა) წინადადებით კორეის უმაღლესი სახალხო კრების მთავრ სესიამ ერთხმად მოიწონა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საგარეო პოლიტიკა.

შემდეგ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — პროვინციების, ქალაქების, მაზრების, რაიონების, თემებისა და სოფლების სახალხო კომიტეტების არჩევნების შესახებ მოხსენებით გამოვიდა კორეის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი ხონ გი დეე.

შემდეგ დეპუტატი ქალის პაკ დენ აის წინადადებით კორეის უმაღლესი სახალხო კრების მეორე სესიამ მიიღო დადგენილება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების—პროვინციების, ქალაქების, მაზრების, რაიონების სახალხო კომიტეტებისა— არჩევნების ჩატარების შესახებ რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო კომისიის ჩრდილოეთით მიმდინარე წლის მარტში. ხოლო თემებისა და სოფლების სახალხო კომიტეტების დეპუტატების არჩევნებისა — 1949 წლის მეორე ნახევარში. რესპუბლიკის სახალხო ტერიტორიაზე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების—სახალხო კომიტეტების არჩევნების ჩატარების შესახებ საკითხის განხილვის შესახებ სესიამ მიიღო შემდეგი დადგენილება: „რესპუბლიკის ტერიტორიაზე 38 პარალელის სამხრეთით ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების—სახალხო კომიტეტების არჩევნების საკითხის განხილვის შესახებ სესიამ მიიღო შემდეგი დადგენილება: „რესპუბლიკის ტერიტორიაზე 38 პარალელის სამხრეთით ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების—სახალხო კომიტეტების არჩევნების ვადა, ეთთარების შესახებ მისაღებ, დაარწმუნოს კორეის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმმა".

I თებერვალს კორეის უმაღლესი სახალხო კრების მეორე სესიამ მეხოსმბრი ენერგიული ერთხმად მიიღო კანონი 1949-50 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმის შესახებ.

შემდეგ ეროვნ სიტყვით გამოვიდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე კიმ ირ სენი, რომელსაც დეპუტატები გულთბილად შეხვდნენ. მას ხანგრძლივ ტაშით ხშირად აწყვეტინებენ სიტყვას.

კორეის უმაღლესი სახალხო კრების თავმჯდომარის ხონ ხომ დახურულად გამოაცხადა კორეის სახალხო კრების მეორე სესია.

იგალიელი სენაგორის განცხადება აჯანყების პაექვისადმი იგალიის შეერთების გეგმების შესახებ

რომი, 4 თებერვალი. (საქ.დეპ.). სენატორმა პიეტრო ტომაზი დილა ტორტემ—საგარო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა და სენატის ყოფილმა თავმჯდომარემ გაზეთ „რეპუბლიკას" ინტერვიუ მისცა დასავლეთ კავშირისადმი და ატლანტიკის პაქტისადმი იტალიის შეერთების გეგმების შესახებ.

„ძნელი არაა შევნიშნოთ, — განაცხადა სენატორმა, — რომ თავისი საგარო პოლიტიკის შედეგად იტალია თავდაპირველად მიექანება სერიოზული საფრთხისაკენ. ეს თავდაპირველად დაჭანება დაიწყო მარშალის გეგმის დროიდან... ჩვენ შეხედულებით, აღსანიშნავი იყო მორიგებიდან ერთ რამეს, სახელდობრ: იტალიის უფრთდაფრთხო ჩამას ჯერ პოლიტიკურ და შემდეგ სამხედრო კომბინაციებში, რასაც უთუოდ მეტად სერიოზული შედეგი მოჰყვება".

მოკლე ცნობები

ეგვიპტელებმა განაბულს საფორტიფიკაციო სამუშაოები პალესტინის საზღვარზე. ებრაელ მეთვალყურეთა აზრით, ეგვიპტელები აგებენ ძლიერი თავდაცვის სამ ხაზს. მიწისქვეშა თავშესაფრებით, რომლებიც მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ამ საფორტიფიკაციო ნაგებობებს დაერქმევა „ფარაონის ხაზი".

• • •

დანის მთავრობამ გადაწყვიტა დე-ფაქტო აღიაროს ესპანელის სახელმწიფოს მთავრობა.

• • •

3 თებერვალს კომენისტური პარტიის წევრთა მიტინგზე გამოსულის დროს ლონდონში გარდაიცვალა გაზეთ „დეილი უორკერის" რედაქტორი უილიამ რასტი. იგი „დეილი უორკერის" რედაქტორად იყო ამ გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლიდან — 1930 წლის იანვრიდან. (საქ.დეპ.).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებანი

შეუხებრების შესამე ტურში დამთავრდა სამი პარტია. ლაზიერის პაიკი დებიუტში გაჩერდა ამჟამად მოეგო ასოსკესს, ებრაელმა ძველ ინდურ პარტიაში კარგად ასარგებლა გეორგიძის პასიური თამაშით და გამარჯვებას მიაღწია. ფილავანდიშილი დამარცხდა ბლაგიძესთან.

ოთხი პარტია გადაიღო. ფირცხალავას ორი ზედმეტი პაიკი და ადვილად მოსაგები პოზიცია აქვს ქარსელაძესთან. მალაშხანაოსორკინის პარტია გადადებულია მალაშხის უპირატესობით. ფურჭქუტანიშვილმა დებიუტში მოიგო ხარისხი პესლეევს, მაგრამ შემდეგში არაზუსტი თამაშით საშვალება მისცა მოწინააღმდეგის შეექმნა კონტრშანსები. გადადებულ პოზიციაში მდგომარეობა გამოუკვეველია. შაშოვს ზედმეტი პაიკი აქვს გადადებულ პარტიაში ჯაკობისთან. დღეს შედგება ჩემპიონატის მეოთხე ტური.

გორში დაიწყო სასტუმროს მშენებლობა

გორი. (საქ. კორ.). აქ დაიწყო სასტუმრო „ანტიტურისტის" შენებლობა. მისი მოცულობა იქნება 18.440 კუბური მეტრი. შენობას მოაპირკეთებენ ბოლნისის ტუფით, ქართული რუქურთმებით. სასტუმროს ეზოში აშენდება საზაფხულო პავილიონი, მოეწყობა ხეხილის ბაღი. „ინტურისტის" შენებლობა დამთავრდება 1950 წელს და 4,5 მილიონი მანეთი დაიხარჯება.

პრემიერა ქუთაისის თეატრში

ლ. მეცხიაშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა პრემიერად მაყურებელს უჩვენა ალექსანდრე ყაზბეგის დრამა „ქეთევან დედოფალი".

პიესა დადგა რეჟისორმა გ. იოსელიანმა, მეცადა დაწერა კომპოზიტორმა ი. გოცირიძე, მხატვრული გაფორმება მ. ყაზბეგმა.

სპექტაკლში როლები შესრულეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ე. ამირეჯიბმა, ა. მურუსიძემ, მსახიობებმა გ. მეგრელიშვილმა, ა. ქილაძემ, მ. სვანიძემ, ბ. კოკლაძემ, მ. ფხაკაძემ და სხვ.

პრემიერამ წარმატებით ჩაიარა.

ქრონიკა

9 თებერვალს, სალამის 7 საათზე, ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს ოპერატეკნიკური ინსტიტუტის კლუბში შედგება უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის II გაფართოებული პლენუმი მეცნიერ მუშაკთა აქტივის, წარმოების ხელმძღვანელების, ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალისა და სტახანოვლების მონაწილეობით.

მოხსენებას თემაზე: **„უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების დახმარება სოციალისტური მრეწველობისა და ტრანსპორტისადმი"** წაიკითხავს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი **ნ. ი. მუსხელიშვილი.**

ამინდი

5 თებერვალს ღამით დასავლეთ საქართველოში მნიშვნელოვანი პოლარმღვრევა იყო. წონადობით (4 თებერვალს დღისთვის) ყველაზე მაღალი ტემპერატურა იყო სამტრედიაში (6 გრადუსი ცილსთან), ღამით ყველაზე დაბალი ტემპერატურა იყო ბაზმარობი (12 გრადუსი ყინვა).

დღისთვის საქართველოში მნიშვნელოვანი მღვრეობელობა იყო. ღამით ყველაზე დაბალი ტემპერატურა იყო ბაყურიანში (12 გრადუსი ყინვა).

5 თებერვალს თბილისში დღის 12 საათისათვის თერმომეტრმა 3 გრადუსი სითბო უჩვენა.

ქვეხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

7 თებერვალს, სალამის 8 საათზე, შედგება ხელმძღვანელ სამეურნეო მუშაკთა სემინარის თემაზე: **„სოციალისტიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის შესახებ".** (მეორე ლექცია).

ლექტორი დოცენტი **ბერძენიშვილი.**

7 თებერვალს, სალამის 8 საათზე, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის შედგება დოცენტ **ი. მირცხულავას** ლექცია თემაზე: **„პოლშევიზმის ორგანიზაციული პრინციპები".**

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს **კონკურსს** ტოპოგრაფიული ანატომიის და ოპერაციული ქირურგიის კათედრის დოცენტის თანამდებობაზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს განცხადება სათანადოდ შემოწმებული შემდეგი საბუთებით: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დიპლომის ასლი, საბუთი სამეცნიერო ხარისხის და წოდების მინიჭების შესახებ, სამეცნიერო ნაშრომების სია და თვით ნაშრომები, საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება სამუშაოს უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო ნაშრომების რეცენზიები და ფოტოსურათი.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

განცხადება მიიღება ინსტიტუტის დირექციაში (მელიქიშვილის ქ. № 16).

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის საშინისტრო

„სოიუზპეჩატი"

1949 წლისათვის

მრავალფეროვანი ხელის მოწერა

საბავშვო ჟურნალებზე:

„პიონერი"

„ძიძა"

ხელის მოწერა მიიღება „სოიუზპეჩატის" ყველა განყოფილებაში.

ხელის მოწერის პირობები თვითეულ ჟურნალზე: 3 თვით— 15 მან., 6 თვით—30 მან., 1 წლით— 60 მან.

„სოიუზპეჩატის" სანართველოს განყოფილება

ღეს კინოთეატრებში

რუსთაველის სახ. რუსთაველის პრ№1, 7 ტელეფონი 3-09-50.
მხატვრული ფილმი **„სხვისი სახელით"** დასაწყ. 4, 6, 8, 10 ს.

ამირანი პლეხანოვის პრ№1. 125. ტელეფონი 3-48-61.
„სხვისი სახელით" დასაწყ. 12, 2, 4, 6, 8 და 10 ს.

ოქტომბერი პლეხანოვის პრ№1. 135. ტელეფონი 3-39-84.
„კაუჩუკზე მონაღირენი" დასაწყ. 8-45, 7-45, 9-45 ს.

სპარტაკი რუსთაველის პრ№1. 23. ტელეფონი 3-08-27.
„სიმღერა მენთვის" დასაწყ. 12, 2, 4, 5-50, 7-50, 9-50 ს.

„თბილისი" კორპაციის ქ. № 2. ტელეფონი 3-57-88.
მხატვრული ფილმი **„ბალერინას ბედი"** დასაწყ. 4-30, 6-30, 8-30, 10-30 ს.

„ოქტომბერელი" პლეხანოვის პრ№1. 98. ტელეფონი 3-29-61.
„რემბრანდტის ცხოვრება" დასაწყ. 12, 2, 4, 5-50, 7-50 და 9 -50 ს.

26 კომისრის სახ. მ. ლებიანის მოედანი, 1. ტელეფონი 3-43-09.
„სხვისი სახელით" დასაწყ. 12, 2, 4, 6, 8 და 10 ს.

„კოლმეურნე" კე. ცეტკინის, 125.
მხატვრ. ფილ. მე-2 სერ. **„ინდოეთის აკლდამა"** დასაწყ. 12, 2, 6, 7-30, 9 ს.

თეატრებში

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — 6-II დღისით **„ბაში-აჩუკი"**, საღამოს **„ტოსკა"** (2 ას. 5 წარმ., აზრიანების მონაწილეობით);

რუსთაველის სახელობის — 6-II დღისით **„ლალები"**, საღამოს **„ერთი დამის შეცდომები"** (18 სერ. 5 წარმ.);

მარჯანიშვილის სახელობის—6-II დღისით **„ყვარყვარე თუთაბერი"**, საღამოს **„რომეო და ჯულიეტა"** (6 სერ. 5 წარმ.);

3. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — 6-II დღისით **„სამთა სიყვარული"**, საღამოს **„პუფ-მორადი"** (7 ას. 7 წარმ.).

მეფულე დომინიკა, შვილები ნინო, ბებიალა, სერგო, სიძე კოტე კობაძიც, რძალი ტატანა შვილებით, და ლარისა ოჯახით ეუწვიან **ფილარეტ ხრისტოლუს ძე კაკაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6-II, 8 ს. დაკრძალვა, 1. დაკრძალვა 10-II ობიშაში (მაიაკოვსკის რაიონი).

ე. შავდია, ნ. ქართველიშვილი, ო. ბოკერაძე, ნ. რამიშვილი, ვ. და გ. კანდელაკები, დ. შარაშიძე, გ. ბეგაძიც, პ. ბერულები, ი. ბახტაძე, შ. ბუკია, ნ. ღამბაშიძე, ნ. ლორთქიფანიძე, გ. თავდგირიძე, ნ. ფირცხალაშვილი, უ. ყვანია, ე მაკვანიაები ეუწვიანენ ბრძილ და **სოფიოს** გარდაცვალებას.

თბილისის მუსიკალური ინსტრუმენტების და ავეჯეულობის კომბინატის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და მოსამსახურეები ეუწვიანენ ამავე კომბინატის თანამშრომელს **გიორგი დავითის-ძე ჯაშიძის** გარდაცვალებას გამოსვენება 8-II, 5 ს. ფიროსმანის 14.

ა. კოკოლაშვილი, ა. ბუაძე და ა. ჯაფარიძე ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ამხ ვანო კოზმოვს მისი დედის **ნინოს** გარდაცვალების გამო.

დედა თამარ, დები, ნელი, ცისანა, ძმა ბიძიური, ბაბუა რაფიელ, მამიდები ანიჩკა, ლიზა, ქეტინა, დუნიაში, სიძე გრ. ბიწაძე, მამიდაშვილები ნოდარ ამესიაძე, ანზორ ჩაფიძე, ბიძა გრ. ჩაფიძე ეუწვიანიან **ზურაბ ხვედრის-ძე ლეჟავას** გარდაცვალებას.

შვილი ლიდა, სიძე ს.ტეფანე ახუბავები შვილებით ზურით და ზაირათი ეუწვიანენ **ვლადიმერ დიმიტრის-ძე ცქვიტინაიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-II ბაბუმი (მახარაძის რაიონი).

საქართველოს ოფტალმოლოგიური საზოგადოება, რესპუბლიკური თვალის სნეულებათა კლინიკური საავადმყოფოს, სამეცნიერო ინსტიტუტის და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თვალის სნეულებათა კლინიკების თანამშრომლები ეუწვიანენ ექიმ **გიორგი ლეონის-ძე ჭორჭიაშვილის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06 88, განყოფილებებისა: პროპაგანდის, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, ხასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო. სპორტსმენობა — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80 84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ჯგუფისა და შრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომწვევის — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-81-81, ტაბეჭდის დირექტორისა—3-77-70.

ს. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ № 14. ტირაჟი 110.000 ЭО 00713